ხოლო მამაკაცებისათვის – 65 წლის ასაკის მიღწევისას და სახელმწიფო კომპენსაციები სხვადასხვა კატეგორიისათვის (სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთათვის, პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილი მუშაკებისათვის, უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირთათვის, მოსამართლეთათვის და სხვა); ქვეპროგრამის მიზანია კანონით განსაზღვრული პირების – სახელმწიფო პენსიებისა და სახელმწიფო კომპენსაციების მიმღებთა – გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, მათთვის ბენეფიტის დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება.

1.1.2 სოციალური დახმარებები (პროგრამული კოდი 35 02 02)

ქვეყანაში სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრისა და სოციალური რისკების განეიტრალების მიზნით სხვადასხვა სოციალური გასაცემლის დაფინანსება, კერძოდ, სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის საარსებო შემწეობების, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ფულადი დახმარებების, რეინტეგრაციის შემწეობის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სოციალური დახმარებების გაცემა.

1.1.3 სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

რეინტეგრირებული და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა; გონებრივი და ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვთა ადრეული დიაგნოსტიკა და მათი მიტოვების პრევენცია; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; ძვალსახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; ომის ვეტერანთა რეაბილიტაცია; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა დღის ცენტრების მომსახურებით უზრუნველყოფა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა სათემო ორგანიზაციების მომსახურებით უზრუნველყოფა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა; სხვადასხვა პრობლემის მქონე ორსულთა და დედათა და მათი 10 წლამდე ასაკის შვილების თავშესაფრით უზრუნველყოფა; მზრუნველობამოკლებული ბავშვების მიმღებ ოჯახებში განთავსებით მათი ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში მომსახურების გაწევა; მიუსაფარ ბავშვთათვის სადღეღამისო მომსახურების უზრუნველყოფა.

1.2 ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03)

სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა მეთოდით მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება; პროგრამის „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ ფარგლებში მოსახლეობის გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული, გეგმური ქირურგიული მომსახურებით, სტაციონარული, ქიმიო-, ჰორმონო- და სხივური თერაპიით და მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისებით უზრუნველყოფა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მოსახლეობის იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის განხორციელება და ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა მალარია და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, გავრცელების კონტროლის, სისხლისა და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; სამედიცინო განათლების რეფორმის ფარგლებში დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროცესის, შესაბამისი შეფასების სისტემების სრულყოფისა და პროფესიული რეგულირების დამატებითი მექანიზმების შემოღებისათვის საჭირო ღონისძიებების, აგრეთვე უწყვეტი პროფესიული განვითარების ფორმალიზებული სისტემის ამოქმედებისათვის

განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება.

1.2.1 **მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 01)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობის გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული, გეგმური ქირურგიული მომსახურებით, სტაციონარული, ქიმიო-, ჰორმონო- და სხივური თერაპიით და მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისებით უზრუნველყოფა; დაიწყება ზოგიერთი ბენეფიციარის შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.2 **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)**

ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და დაავადებათა პროფილაქტიკისკენ მიმართული პროგრამების განხორციელებით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება; იმ პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს გადამდებ და ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენციას. მათი ადრეული გამოვლენა უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, საზოგადოების დაცულობის გაზრდას და, მეორე მხრივ, სახელმწიფო დანახარჯების ოპტიმიზაციას;

მოსახლეობის იმუნიზაცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია/შიდსი და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, გავრცელების კონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის.

1.2.2.1 **დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)**

დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და მათი გავრცელების პრევენციის უზრუნველყოფა და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

• ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი;

• ბავშვთა ასაკის განვითარების შეფერხება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი;

• ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა;

• მოსახლეობის საგანმანათლებლო კამპანია.

1.2.2.2 **იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)**

იმუნიზაციით მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან დაცვა და მისი ანტირაბიული ვაქცინით, იმუნოგლობულინითა და ანტირაბიული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა;

იმუნიზაციისთვის საჭირო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალის (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა;

სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა, შენახვა და გაცემა;

მოსახლეობის ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით და შესაბამისი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა;

ვაქცინების, შრატებისა და ასაცრელი მასალის (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპის დაცვით, ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

1.2.2.3 ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება;

ადმინისტრაციულ ერთეულებში და მუნიციპალურ დონეზე სამედიცინო სტატისტიკური სისტემის მუშაობის უზრუნველყოფა;

იმუნიზაციის წარმოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და მუნიციპალურ დონეზე ლოჯისტიკის განხორციელება;

მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება;

გადამდებ დაავადებათა დროულად გამოვლენის გაუმჯობესება ეპიდზედამხედველობისა და ლაბორატორიულ სამსახურებზე დაფუძნებული სისტემის გამართული მუშაობის გზით.

1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია, საქართველოს მასშტაბით სისხლის კომპონენტების უსაფრთხოების თანაბარი სტანდარტის უზრუნველყოფა და ფასიანი დონორობის ინსტიტუტის ეტაპობრივი ჩანაცვლება უანგარო, რეგულარული დონორობის სისტემით;

დონორული სისხლის B და C ჰეპატიტებზე, აივ ინფექციაზე/შიდსზე და სიფილისზე კვლევის მხარდაჭერა;

ხარისხის გარე კონტროლის უზრუნველყოფა;

უანგარო დონორების მხარდაჭერა და მათი მოზიდვის კამპანია.

1.2.2.5 **პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)**

დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების პრევენციით;

შრომის პროცესში მოქმედი გარე ფაქტორების შესწავლა-შეფასება, სამიზნე ჯგუფების პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა და დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინფორმირება პროფესიული ჯანმრთელობის რისკებისა და მათგან დაცვის მეთოდების შესახებ.

1.2.2.6 **ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 06)**

ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა ადეკვატური სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

1.2.2.7 **ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 07)**

ტუბერკულოზით ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირების უზრუნველსაყოფად ტუბერკულოზზე აქტიური ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ანტიტუბერკულოზური ღონისძიებების ხელშეწყობა; ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა, სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა დაავადების ინტენსივობის დადგენა;

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს: ტუბერკულოზის ყველა საეჭვო შემთხვევის გამოკვლევას, ტუბერკულოზით დაავადებულთა ამბულატორიულ მომსახურებას (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობით), ეროვნული რეფერალური ლაბორატორიის მიერ სტაციონარსა და ამბულატორიაში ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკის ხარისხის კონტროლის და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზის ლაბორატორიული მართვის უზრუნველყოფას, ტუბკაბინეტებსა და ტუბდისპანსერებში ზედამხედველობას (სუპერვიზია), უშუალო მეთვალყურეობით (DOTS სამსახური) მკურნალობას, ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკურ, თერაპიულ და ქირურგიულ მომსახურებას, მათ შორის, რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზის მკურნალობას.

1.2.2.8 **აივ ინფექცია/შიდსი (პროგრამული კოდი 35 03 02 08)**

აივ ინფექციის/შიდსის მაღალი რისკის ჯგუფში შემავალ პირთათვის კონსულტაციის გაწევა და მათი კვლევა; აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთა პალიატიური მოვლა, ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა, პირველი რიგის ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბენეფიციარების მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართვა.

1.2.2.9 **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 02 09)**

დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და სიკვდილიანობის შემცირება ანტენატალური ზედამხედველობის, მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის, გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის, ორსულებში B ჰეპატიტის

(სწრაფი/მარტივი და კონფირმაციული), ათაშანგის (სწრაფი/მარტივი და კონფირმაციული) და აივ ინფექციის/შიდსის (სწრაფი/მარტივი) განსაზღვრისათვის მათი საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალით უზრუნველყოფის, ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის და ახალშობილთა სმენის სკრინინგის გზით.

1.2.2.10 **ნარკომანია (პროგრამული კოდი 35 03 02 10)**

ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, აგრეთვე მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკული საშუალებით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა.

1.2.2.11 **ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 11)**

თამბაქოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი ბრძოლის დასაწყებად და თამბაქოსაგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად სამოქალაქო მობილიზაციის გაზრდა და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება; თამბაქოს საკითხებზე, მათ შორის, კანონმდებლობის ძირითად პრინციპებზე და თამბაქოს, როგორც ჯანმრთელობის ქცევით რისკფაქტორზე, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება; საინფორმაციო კამპანიის განხორციელება, თამბაქოს მოხმარების აკრძალვის/შეზღუდვის დანერგვისა და აღსრულების შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტიპის დაწესებულებების მონიტორინგი, ტრენინგების ჩატარება და მათში დაინტერესებული მხარეების ჩართვა; მულტისექტორული თანამშრომლობის განმტკიცება თამბაქოსაგან თავისუფალი გარემოს მხარდასაჭერად.

1.2.3 **მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)**

არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება და ამ დაავადებებით გამოწვეული ფინანსური რისკებისგან მოსახლეობის დაცვა მისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების (მათ შორის, პირველადი სამედიცინო მომსახურებები სასწრაფო, გადაუდებელ შემთხვევებში) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

• ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა;

• დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

• ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება;

• თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

• ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

• იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

• სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა;

• რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა;

• სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება.

1.2.3.1 **ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)**

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობისათვის სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების გაწევა, მათ შორის:

• ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული მომსახურება;

• ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია;

• ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიკური სტაციონარული მომსახურება;

• კრიზისული ინტერვენცია;

• ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პირთა სტაციონარული მომსახურება;

• სტაციონარში მყოფი პაციენტების ურგენტული მომსახურებით უზრუნველყოფა.

1.2.3.2 **დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)**

დიაბეტით დაავადებული ბავშვებისა და მოზრდილების ადეკვატური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა, შესაძლო გართულებების პრევენცია და შემცირება;

დიაბეტით (მათ შორის, უშაქრო დიაბეტით) დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, აგრეთვე ბავშვთა საანალიზო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;

დიაბეტით დაავადებულ პირთა სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა.

1.2.3.3 **ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 03)**

18 წლამდე ასაკის ონკოლოგიური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდით.

1.2.3.4 **დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 04)**

თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პაციენტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ, ჰემოდიალიზით, პერიტონეული დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციით და შესაბამისი მედიკამენტებით, უზრუნველყოფა.

1.2.3.5 **ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 03 05)**

ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული და სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა, მათ შორის, აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთა პალიატიური სტაციონარული მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.3.6 **იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)**

იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის პირთა სტაციონარული მომსახურება დაავადების სპეციფიკური გართულებების დროს, აგრეთვე ჰემოფილიით დაავადებული ბავშვებისა და მოზრდილების ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პირთათვის სპეციფიკური მედიკამენტებისა და საკვები დანამატების შესყიდვა;

ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატებისა და ანტიინჰიბიტორული პროთრომბინ-კომპლექსის შესყიდვა); ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა; მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პანკრეასის ფერმენტების შესყიდვა); სომატოტროპული ჰორმონის დეფიციტის მქონე პაციენტებისათვის ჰორმონის შესყიდვა; ბრუტონის დაავადების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.3.7 **სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 03 07)**

მოსახლეობისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების სერვისების მიწოდება.

1.2.3.8 **სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)**

სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების (გარდა სახელმწიფოს მიერ დაზღვეული მოქალაქეებისა) პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა) უზრუნველყოფა;

მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის სპეცდაფინანსების გათვალისწინება.

1.2.3.9 **რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 09)**

სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა.

1.2.3.10 **სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 03 10)**

სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტინგენტისთვის მიკუთვნებული პირებისათვის ამბულატორიული და დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების უზრუნველყოფა.

1.2.4 **დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 35 03 04)**

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროცესისა და შეფასების მექანიზმების სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

1.3 **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)**

საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, შრომის უფლების რეალიზაციისათვის ღირსეული პირობების შექმნა;

შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) დახმარების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება; უმუშევართა და ვაკანსიების აღრიცხვა, შესაბამისი საინფორმაციო ბანკის წარმოება და შრომის ბაზარზე საშუამავლო საქმიანობის განხორციელება; შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებზე მეთვალყურეობა, სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევების პრევენცია, შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება და საინფორმაციო ბანკის წარმოება; ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის წარმოება; სამედიცინო საქმიანობის ხარისხისა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი; საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი; ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობის და ხანგრძლივი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სისტემის განვითარება; სასწრაფო სამედიცინო დახმარების კოორდინაცია.

1.3.1 **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 35 01 01)**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და კოორდინაცია;

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განხორციელებული საქმიანობის მართებულობისათვის, რესურსების ეფექტიანად და ეკონომიურად გამოყენებისათვის, მართვის გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა და რისკების ანალიზი;

სამედიცინო მომსახურების წესების, პირობებისა და ნორმატივების შემუშავება, მათი შესრულების კონტროლი;

ჯანმრთელობის მართვის საინფორმაციო სისტემების სრულყოფა და კოორდინაცია; თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, პროგრამული უზრუნველყოფა და დანერგვა.

1.3.2 **სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 02)**

სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი, სამკურნალო საშუალებების ხარისხზე, მიმოქცევასა და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა, ფარმაცევტული პროდუქციის რეესტრის წარმოების უზრუნველყოფა, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი; ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის კონტროლი;

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ორგანიზაციული სრულყოფა, სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული არასწორი საექსპერტო დასკვნების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განსაზღვრული სოციალური გასაცემლების ბენეფიციარებზე სწორად განაწილებას;

სამედიცინო პერსონალის სერტიფიცირების პროცესის უზრუნველყოფა, სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებზე შესაბამისი ლიცენზიისა და ნებართვის გაცემა, შეტყობინებას დაქვემდებარებული სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობით გათვალისწინებული სერვისების მიმწოდებელთა აღრიცხვა და მათი საქმიანობის კონტროლი.

1.3.3 **დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 35 01 03)**

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;

ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით გადამდები და არაგადამდები დაავადებებისა და რისკების გამოვლენას, საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებას, სამედიცინო სტატისტიკის წარმოებას, დაავადებათა კონტროლსა და პრევენციას;

ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა, ეპიდემიოლოგიური სტანდარტების შემუშავება;

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელება.

1.3.4 **სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 04)**

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და მისი ხელშეწყობა, რაც გულისხმობს სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირებას, შესაბამისი საინფორმაციო ბაზების შემუშავებასა და კომპეტენციის ფარგლებში მართვას;

სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) დახმარების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;

ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა;

მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა და მისი გაწევის მონიტორინგი.

1.3.5 **სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 05)**

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ამ საკითხზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოსახლეობის ინფორმირება, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან შეხვედრების გამართვა;

ადამიანით ვაჭრობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათი თავშესაფრით და სხვადასხვა სერვისით უზრუნველყოფა, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბენეფიციარებისათვის კომპენსაციების გაცემა;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთათვის და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთათვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა, მათი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების ინსტიტუციური პატრონაჟი – მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, დღის და სადღეღამისო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება.

1.3.6 **სამედიცინო მედიაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 06)**

სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში დაზღვევის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავის გადაწყვეტასთან

დაკავშირებით მედიატორის როლის შესრულება, რომლის ფარგლებშიც მოხდება მზღვეველის, დაზღვეულისა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;

ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში მზღვეველთა და დაზღვეულთა უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.3.7 ნარკომანიისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 07)

ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობის და ხანგრძლივი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სისტემის განვითარება.

1.3.8 სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 08)

მოსახლეობისათვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა, რეგიონებში და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (გარდა თბილისისა); არსებული რესურსების სწორად გადანაწილების კოორდინირება; დროული, ეფექტიანი და უწყვეტი პირველადი სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა.

1.4 შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; სამინისტროს თანამშრომელთა ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირება, მათი დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონარული მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება; დადგენილი წესით სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება; შესაძლო საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების გაწევა და მათი ევაკუაციის ორგანიზება; სამედიცინო აპარატურის განახლება/შევსება; სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებათა უზრუნველყოფა; მედიცინის თანამედროვე მიღწევების გაცნობა და პრაქტიკაში დანერგვა.

1.5 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 04)

სასჯელაღსრულების სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის რეგულირება და ადმინისტრირება; ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების გაწევა პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დონეზე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, შემდგომ ჯანდაცვის დონეებზე, როგორც სასჯელაღსრულების, ისე სამოქალაქო ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში; სასჯელაღსრულების სისტემაში გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენცია, ეპიდემიოლოგიური კონტროლი და მეთვალყურეობა; პირველადი ჯანმრთელობის დაცვის რგოლის ფუნქციონირება და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდება; ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა სასჯელაღსრულების სისტემაში და მის გარეთ; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უზრუნველყოფა; მსჯავრდებულთათვის ფსიქიატრიული დახმარების,

ხოლო წამალდამოკიდებულ პირთათვის – მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა; მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა სასჯელისაგან გათავისუფლება; სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარება.

1.6 **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა და პენსიონერთა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნილი კომპენსაციის/პენსიის მიმღები სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურე) და მათი ოჯახის წევრთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სათანადო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; პაციენტთა ამბულატორიული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი და მკურნალობის ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის ღონისძიებების განხორციელება.

1.7 **სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 54 00)**

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების ცხოვრების სათანადო პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა; სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლისა და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება; სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნა; სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის განმტკიცებისათვის მუდმივი ზრუნვა; ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა.

1.8 **შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 05)**

სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი; საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა მოთხოვნად პროფესიებში მომზადება-გადამზადების ღონისძიებების დაფინანსება მათი დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებისათვის; შრომის ბაზართან დაკავშირებული ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, ინფორმაციის შეფასება, ანალიზი, გავრცელება.

1.9 **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)**

ხარისხიანი სამედიცინო სერვისების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების რეაბილიტაცია, აღჭურვა, ახალი სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა; ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შენობის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების თანადაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს არსებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

1.10 **ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი (პროგრამული კოდი 57 00)**

საქართველოში მცხოვრები სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია და პრიორიტეტული სოციალური საჭიროებებისათვის მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით; სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების, რეგულარული სოციალური შემწეობების პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

## 2 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაგრძელდება თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და ინსტიტუციონალიზაცია, პერსონალის განათლება და წვრთნა, შეიარაღებული ძალების შესაძლებლობათა განვითარება, ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, დაინერგება თავდაცვის სფეროში განათლების მიღების ახალი პრინციპები;

პრიორიტეტის ფარგლებში საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა წარიმართება დასავლური სტანდარტებისა და მეთოდების შესაბამისად. დაიხვეწება სამხედრო ძალების საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი. გაიზრდება საქართველოს პარლამენტის მონაწილეობა შეიარაღებული ძალების განვითარებასა და კონტროლში. სავალდებულო გახდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ პარლამენტისათვის საჯარო ანგარიშების წარდგენა;

შეიქმნება საინფორმაციო უსაფრთხოების დოქტრინა, რომელიც დაეყრდნობა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითად პრინციპებს და განავითარებს ამ პრინციპებს საინფორმაციო სფეროსთან მიმართებით. სამხედრო მოსამსახურეთათვის შეიქმნება ღირსეული სამუშაო პირობები, მათთვის და ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის – ადეკვატური სოციალური გარანტიები;

ნატოში ინტეგრაციის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით გაგრძელდება და გაღრმავდება პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა შესაბამისი რეკომენდაციების უზრუნველსაყოფად;

პრიორიტეტის ფარგლებში სამხედრო ძალების საკადრო უზრუნველყოფა მოხდება მხოლოდ პროფესიონალიზმის ნიშნით. საქართველოს თავდაცვის მინისტრსა და გაერთიანებულ შტაბს შორის ფუნქციები განაწილდება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და მკვეთრად გაიმიჯნება სამხედრო საქმე და სამოქალაქო პოლიტიკური ფუნქციები. შეიქმნება დასავლური ტიპის სამხედრო კარიერული სისტემა;

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით ძლიერი სამხედრო სარეზერვო სისტემის ჩამოყალიბებისათვის. მოხდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის სრული რეფორმირება და მისი სარეზერვო სამსახურად გარდაქმნა. შემუშავდება სამოქალაქო თავდაცვის ეფექტიანი სისტემა, რომელიც მთლიანად ქვეყნის თავდაცვის სისტემის ნაწილი იქნება;

ძირეული რეფორმა განხორციელდება სამხედრო და ომის ვეტერანების უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის სისტემაში. იგი გაითვალისწინებს სოციალური დახმარების, პროფესიული კვალიფიკაციისა და დასაქმების კომპონენტებს;

პრიორიტეტის ფარგლებში სახელმწიფო საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცების სფეროში განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პოლიციისადმი საზოგადოების მაღალი ნდობა, უსაფრთხო გარემო მოქალაქეებისა და ბიზნესისათვის. უზრუნველყოფილი იქნება პოლიციელების საქმიანობის ხელშეუხებლობის სამართლებრივი გარანტიები, რათა შსს დაცული იყოს ყველანაირი წნეხისაგან. მართლწესრიგის უზრუნველმყოფი ორგანოების დამოუკიდებლობით შეიქმნება როგორც მოქალაქეების, ისე ამ ორგანოების თანამშრომელთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია;

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სამართლიანი სასჯელის პოლიტიკა. გადაიხედება სისხლის სამართლის კანონმდებლობა სხვადასხვა დანაშაულთან მიმართებით. სასჯელის მოხდის რეჟიმი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდება და სრულად იქნება დაცული ადამიანის უფლებები;

პატიმართა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის დაბა ლაითურში გაგრძელდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მშენებლობა. აგრეთვე გაგრძელდება სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები სხვადასხვა დაწესებულებაში და განახლდება საყოფაცხოვრებო ინვენტარი;

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებთან აშენდება საზოგადოებრივი მისაღებები, სადაც პენიტენციარული სისტემის ნებისმიერ ვიზიტორს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს სწრაფი და კვალიფიციური მომსახურება;

განახლდება და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით აღიჭურვება პენიტენციარული სისტემის სამედიცინო დაწესებულებები და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები. გაუმჯობესდება მათი მედიკამენტებით მომარაგება და გაიზრდება სტაციონარული მომსახურების არეალი. გაიზრდება სისტემის სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და უზრუნველყოფილი იქნება მისი უწყვეტი განათლების პროცესი. მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაზღვევით და გაუმჯობესდება მათი სოციალური და სამუშაო პირობები;

პრობაციის სისტემის სრულყოფისათვის სისტემაში სრული დატვირთვით ამოქმედდება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება. გარემონტდება და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება პრობაციის ბიუროები. გაფართოვდება პრობაციონერთა სარეაბილიტაციო პროგრამების არეალი;

პრიორიტეტის ფარგლებში გადაიხედება საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაქსიმალურად

სამართლიანი სისტემა;

განსაკუთრებით შეეწყობა ხელი ორგანიზებული თუ სხვა სახის დანაშაულის გამოვლენასა და გამოძიებას. უპირატესობა მიენიჭება აღდგენითი მართლმსაჯულებისა და რესოციალიზაციის პოლიტიკას;

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც გულისხმობს პროკურატურის უფლებამოსილების შეზღუდვას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებების დაცვის მიზნით. პროკურატურის ფუნქცია იქნება საზოგადოების დანაშაულისაგან დაცვა, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის, აგრეთვე დაზარალებულის კანონიერ უფლებათა დაცვა და საგამოძიებო ორგანოთა მართლზომიერი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მათი საქმიანობის ზედამხედველობით.

2.1 **შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება (პროგრამული კოდი 29 01)**

არსებული უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის დაკისრებული ამოცანების ეფექტიანად შესასრულებლად თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება; კონცეპტუალური და დოქტრინული ბაზის განვითარება; ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერა; საყაზარმე, სამხედრო-სასწავლო დაწესებულებების და საინჟინრო-საფორტიფიკაციო და სააეროდრომე ინფრასტრუქტურის ზრდა და გაუმჯობესება.

2.2 **საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)**

ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დონის ამაღლებისათვის შსს-ის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა და დაცვითი სისტემებით უზრუნველყოფა, სამინისტროს ავტოპარკის მუდმივი განახლება, საგანგებო სიტუაციების მართვისათვის სასწავლო გეგმების განხორციელება, კავშირგაბმულობის საშუალებების ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, სასაზღვრო პოლიციის რეგიონული სამმართველოების, მათი განყოფილებებისა და რეგიონული სასაზღვრო-საემიგრაციო გამშვები პუნქტების მუდმივი და შეუფერხებელი კავშირის გაუმჯობესება, სასაზღვრო სექტორებამდე და სასაზღვრო საგუშაგოებამდე მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებებით მისვლის ხელშეწყობა, სასაზღვრო სივრცის მოდერნიზებული სწრაფმავალი კატარღებით კონტროლირება და სამაშველო ოპერაციების ავიაციის გამოყენებით წარმოება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა, კომპიუტერული და სპეციალური ტექნიკის ეტაპობრივი ცვლა, ინოვაციური თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ქსელური უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულებისათვის საინფორმაციო სისტემების შექმნა, სამინისტროს მოსამსახურეთათვის სადაზღვევო მომსახურების გაუმჯობესება და სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოება უწყებებს შორის შეთანხმებული მემორანდუმის შესაბამისად; საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების ხელშეწყობით პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლება, მომზადება-გადამზადება; საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი ოპერაციების ჩატარება და სხვა; საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისა და სამართლებრივი ბაზის განვითარება; არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის პროგრამის დანერგვა, რომლის

დანიშნულებაა მიგრანტების შესახებ ყველა იმ ინფორმაციის შეგროვება და პროგრამაში ასახვა, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ტერიტორიაზე მათ ლეგალურ თუ არალეგალურ ყოფნასთან. სისტემა მოახდენს იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელსაც არ აქვს ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის საფუძველი. მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით მიგრაციის სამსახური განახორციელებს უცხოელთა ქვეყანაში ყოფნის მონიტორინგს; არალეგალ მიგრანტთა განთავსების ცენტრის აღჭურვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს; ადამიანის უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, არაადამიანური მოპყრობის აღკვეთა და სისხლის სამართლის საქმეებზე დაკავებული და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა; შესაბამისი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; ნარკომანიასთან ბრძოლისათვის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; ქვეყნის მასშტაბით ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული პროგრამის განხორციელება არსებული მდგომარეობის მუდმივი შესწავლის, შეფასების, ახალი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების საფუძველზე; შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება; ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისათვის წარმოებული დიალოგის ფარგლებში აღებული ვალდებულებების თანახმად, საქართველოში ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბება; ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, შსს-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსებულთა რეგისტრაცია, სამედიცინო შემოწმება და წინასწარი დაკავების იზოლატორების რეგულარული მონიტორინგი; იქ მოთავსებულთა ინფორმირება საპროცესო უფლებების შესახებ, დაკავებულ პირთათვის საკვების მიწოდება და მათი სანიტარიული პირობების გაუმჯობესება; სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, არაადამიანური მოპყრობის აღკვეთა და დაკავებული და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა; დანაშაულის პრევენციის მიზნით საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობა; საზოგადოებასთან ინტენსიური ურთიერთობების მექანიზმების შემუშავება და სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში საინფორმაციო კამპანიების ჩატარება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებისა და ჩართულობისთვის; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლირებადი სივრცის მაქსიმალურად გასაკონტროლებლად და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოსავლენად და აღსაკვეთად სასაზღვრო სექტორებამდე და სასაზღვრო პოსტებამდე გზებისა და ხიდების მშენებლობა, შესაბამისი ქვედანაყოფების მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა; სასაზღვრო სექტორებისათვის ახალი შენობების მშენებლობა, დასაცავი მონაკვეთებისათვის სათვალთვალო კოშკურების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია, საგუშაგოებისა და პოსტების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, კავშირგაბმულობის სისტემის მოდერნიზაცია და სახელმწიფო საზღვრის სრული პერიმეტრის დაფარვა სათანადო რადიოკავშირის საშუალებებით; სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარება, მისი ახალი, უფრო ეფექტიანი მცურავი საშუალებებით აღჭურვა და არსებულის მოდერნიზება; რადიოტექნიკური დაკვირვების სისტემების და მცურავი საშუალებების მეშვეობით საქართველოს საზღვაო სივრცეში სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კონტროლი, სამართალდარღვევათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოსა და უცხო ქვეყნების გემების საქმიანობის მონიტორინგი, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების ჩატარება, ნავსადგურის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა კონტროლი, ზღვის მხრიდან სტრატეგიული ობიექტების დაცვა; სახელმწიფო

საზღვრის დამრღვევთა ძებნისა და დევნის ეფექტიანობის გაზრდისათვის კინოლოგიური სამსახურის განვითარება, ვოლიერებისა და სამძებრო ძაღლებისთვის სავარჯიშო ტერიტორიების მოწყობა; სამძებრო-სამაშველო ოპერაციების დღისით და ღამით, რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად სრულყოფილად ჩატარებისათვის სასაზღვრო ავიაციის საფრენი აპარატების და სანაპირო დაცვის სწრაფმავალი კატარღების თანამედროვე საკომუნიკაციო-სანავიგაციო და ღამის ხედვის ხელსაწყოებით აღჭურვა.

2.3 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (პროგრამული კოდი 27 02)

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება; თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა; სრულყოფილი პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება: საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება; სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართვა.

2.3.1 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 01)

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათი სამართლებრივი გარანტიების შენარჩუნების გზით. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები ითვალისწინებს: ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის რბილი ინვენტარისა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაფერისი უნიფორმის შესყიდვას, ხარისხიანი კვებითი მომსახურების შენარჩუნებას, განათლების ხელმისაწვდომობას; პროფესიული/სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროგრამების განსაზღვრას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, მსჯავრდებულთა დასაქმებას, სამართლებრივი გარანტიების განმტკიცებას, პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას, პატიმართა ცნობიერების ამაღლებას და მათ უფლებათა (საჩივრების, დისციპლინური და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ სრული ინფორმირების უზრუნველყოფას.

2.3.2 სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02 02)

სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართვა; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება; დამატებით ერთი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მშენებლობის დაწყება.

2.4 გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტიანი გამოძიების წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება; გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნა და სისხლისსამართლებრივი დევნის ერთიანი, მოქნილი სისტემის, ერთგვაროვანი პრაქტიკის დასამკვიდრებლად თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის სპეციფიკის შესწავლის საფუძველზე შესაბამისი გაიდლაინების შემუშავება; გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების კონტროლის მექანიზმების

გაუმჯობესება; საკანონმდებლო რეფორმისთვის წინადადებების შემუშავება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ე. წ. მკვდარი მუხლების ამოქმედების და რეალობასთან შესაბამისობის მიზნით; ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის პროპორციული და ადეკვატური სანქციების სისტემის დანერგვა; გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფა; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება; ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიების ჩატარება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება; პროკურატურის თანამშრომელთა შერჩევის წესის გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება; ტრენინგის საჭიროებების იდენტიფიცირების მდგრადი სისტემის შექმნა, აუცილებელი ტრენინგების დაგეგმვა და შესაბამისი მოდულების შემუშავება; პროკურატურის თანამშრომელთა სამუშაო უნარ-ჩვევებზე დაფუძნებული ობიექტური, ეფექტიანი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შეფასების სისტემის შექმნა; სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემისა და პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული ელექტრონული პროგრამების დახვეწა, ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის შექმნა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის შემოღება, პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისათვის კვლევების ინიცირება; პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისათვის საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის კონცეფციის შემუშავება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, პროკურორებისა და ჟურნალისტების ცნობიერების ამაღლების და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით ერთობლივი გასვლითი სემინარების ჩატარება, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად არსებული მექანიზმების სრულყოფა; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა; დანაშაულის პრევენციის პროცესში პროკურატურის როლის გაზრდა, შესაბამისი სტრატეგიის და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება.

## 2.5 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 08)

საქართველოსა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სამეცნიერო კვლევების განხორციელება; მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ორიგინალური კონსტრუქციების დამუშავება; სამრეწველო ფეთქებადი მასალების ექსპერტიზა, მათი გამოცდის მეთოდების სრულყოფისათვის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება; საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურის შემთხვევითი და ტერორისტული აფეთქებებისაგან დაცვის ღონისძიებების შემუშავება; ტურისტული და სამხედრო დანიშნულების მსუბუქი საბაგირო გზების საპროექტო მასალის დამუშავება; ახალი მასალების, ნაკეთობების, მოწყობილობებისა და რთული ტექნიკური სისტემებისა და კომპლექსების შესაქმნელად პრიორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და ინოვაციური ტექნოლოგიური სამუშაოების განხორციელება; უპილოტო საფრენი აპარატების, სპეციალური დანიშნულების ავტომობილებისა და სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის შექმნა (ჯავშანჟილეტებისა და ჩაფხუტების წარმოება და მოდერნიზაცია), შავი ზღვის სპეციფიკური კლიმატური პირობების მოქმედების არეალში როგორც ლითონთა და ლითონის ნაკეთობათა კოროზიულ პრობლემებთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება, ისე არალითონური მასალების გამოცდა ხელოვნურად შექმნილ კლიმატურ პირობებში და კვების პროდუქტების შენახვის ხანგრძლივობისა და კლიმატური პარამეტრების განსაზღვრა; საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული ტექნიკის აღდგენა და მის მოდერნიზაციაში მონაწილეობა; ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დახარისხების, შეფასების, უტილიზაციის, ფეთქებადი ნივთიერებების გადამუშავების, ჰუმანიტარული

განაღმვითი საქმიანობის განხორციელების ღონისძიებებში მონაწილეობა; მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის დარგებში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ახალი მასალების დამუშავება; მიკრო-, ნანო- და ოპტოელექტრონიკის ნაკეთობების შესაქმნელად ნახევარგამტარული მასალების საფუძველზე უნიფიცირებული საბაზისო ტექნოლოგიის დამუშავება; ოპტიკური და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების შესწავლა, შექმნა და მოდერნიზაცია; ჰელიოენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობა; თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ნანოსითხეების შესწავლა, დამუშავება და შექმნა.

2.6 **სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 06)**

საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების კოორდინაციისა და ორგანიზების სისტემის სრულყოფა და დახვეწა; საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის მზადყოფნა და ღონისძიებების განხორციელება/ხელმძღვანელობა; სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, ხანძრების პროფილაქტიკისა და დასახლებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა.

2.7 **ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)**

საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა; შესაბამის სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება; საქართველოსა და უცხო ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა; საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადებისთვის თავის არიდების ფაქტების აღკვეთისათვის, ღონისძიებების განხორციელება დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისათვის.

2.8 **ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)**

დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურისა და საპატრიარქოს ობიექტების დაცვა.

2.9 **პენიტენციარული სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 27 01)**

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციარული სისტემის ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია; სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობების კოორდინაცია, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება.

2.10 **საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში „გათავისუფლებული ფრენების“ მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 06)**

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება; კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა; ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება; აშშ-ის სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა.

2.11 საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (პროგრამული კოდი 03 01)

სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავება და მათ ფარგლებში ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის სიტუაციების მართვა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე; საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის განსაზღვრა და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა; საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება – ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და სამხედრო აღმშენებლობის საკითხებზე აქტების მომზადება და ექსპერტიზა, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება და ამ მასალებით საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრების უზრუნველყოფა; თავდაცვისა და უშიშროების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დასკვნებისა და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება.

2.12 კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 04)

კრიზისების დროს თავდაცვის სფეროში შემავალი კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ობიექტების შეუფერხებლად მუშაობის, ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოების, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამული და ტექნიკური დაცულობისა და ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის ჩამოყალიბება და მისი სრული რეჟიმით ფუნქციონირება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების კიბერუსაფრთხოების საკითხებზე ნატოს სწავლებებში მონაწილეობის მუდმივი ხელშეწყობა და მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.

2.13 დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (პროგრამული კოდი 26 07)

დანაშაულის პირველი დონის პრევენციის ღონისძიებათა ბენეფიციარებზე მორგებული სხვადასხვა სახის ტრენინგების, სემინარების, დებატებისა და კონფერენციების ჩატარება, ანტინარკოტიკული, ტრეფიკინგის, ბულინგის წინააღმდეგ მიმართული აქტივობების, ბიზნესის/მეწარმეობის და სხვა მონათესავე სფეროების საფუძვლების შესწავლა და სამოქალაქო აქტივობის სხვა ღონისძიებების განხორციელება; პროექტის „ახალგაზრდული კლუბი“ ფარგლებში სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებების, სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგებისა და საგანმანათლებლო სემინარების ჩატარება; დანაშაულის ჩადენის რისკჯგუფების საჭიროებების კვლევა, რისკჯგუფებისათვის მიკუთვნებულ არასრულწლოვანთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და მათი ოჯახის წევრებთან მუშაობა, რისკჯგუფებთან მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის კოორდინირება და დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სტრატეგიის შემუშავება; ყოფილ პატიმართა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დაბრუნების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, ყოფილი პატიმრების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება, მათი სოციალური უნარების ამაღლება, პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა; სოციალური მუშაკების პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და, ზოგადად, ქვეყანაში სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარება; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებულ არასრულწლოვანთათვის ადეკვატური სერვისების მოძიება და მათი შესაბამის პროგრამებში ჩართვა, პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის (პროკურორები, სოციალური მუშაკები, მედიატორები) სპეციალური ტრენინგების ჩატარება და განრიდების ინსტრუმენტების ეფექტიანობის გაზრდა; მედიატორის საქმიანობის სტანდარტისა და ეთიკის კოდექსის შემუშავება, მედიატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა; კვლევისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა.

2.14 სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დაგროვებისა და მათი სწორად მართვის

მეთოდოლოგიის შემუშავება და მარაგების შევსება; სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება, უიმედო დებიტორული დავალიანებების ბალანსიდან მოხსნა და ჩამოწერა.

3 რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

საქართველოს უკეთესი შიგა და საერთაშორისო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულად პრიორიტეტულია ქვეყნის ზოგადი რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარება. ტურიზმის განვითარებასთან ერთად ქვეყანა ჩამოყალიბდება რეგიონალურ ცენტრად;

ქვეყნისათვის აქტუალურ თემად რჩება საგზაო, ენერგეტიკისა და წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და რეგიონული განვითარება;

გაგრძელდება მუშაობა ძირითადი მაგისტრალური, მეორეული და ადგილობრივი გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რათა გაიზარდოს როგორც ქვეყნის შიგა ტვირთბრუნვა და ურთიერთდაკავშირება, ისე საქართველოს როლი რეგიონალური და საერთაშორისო ტვირთბრუნვისა და ტრანზიტის ჭრილში. მაღალი ტემპით გაგრძელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის, ქუთაისისა და ქობულეთის შემოვლითი გზების მშენებლობა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აშენდება და გაუმჯობესდება მეორეული და ადგილობრივი გზები. შეიქმნება განვითარებული, ხარისხიანი და უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურა ქვეყნის შიგა ტვირთბრუნვის, იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის განვითარებისათვის. უზრუნველყოფილი იქნება უკეთესი მიღწევადობა საკურორტო და სხვა რეგიონებში. გაგრძელდება ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის, ვაჭრობისა და ტურიზმის ზრდას, ისე ახალი საწარმოების მშენებლობასა და სამუშაო ადგილების შექმნას;

უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მძლავრი ნაკადის მოზიდვით და მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციით გაიზრდება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი ენერგეტიკის სფეროში და საქართველოს როლი აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკულ დერეფანში. სანდო, დივერსიფიცირებული და ფინანსურად მდგრადი ენერგოსისტემა ერთ-ერთი წინაპირობაა საქართველოს სამეწარმეო და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალიზებისათვის. სახელმწიფოს მიზანია, საქართველო გახდეს ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი თურქეთში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. საქართველოს ენერგეტიკულ სექტორს განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის თურქეთთან დამაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და სხვა ენერგოპროექტები;

გაგრძელდება მუშაობა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის. აგრეთვე გაგრძელდება წყლის მილსადენების, გამწმენდი ნაგებობების, რეზერვუარების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ნაპირდაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები და მუდმივი მონიტორინგი მდინარეებისა და ზღვის სანაპირო ზოლებში ავარიული და რისკფაქტორიანი უბნების გამოვლენისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებისათვის;

ტურიზმის ხელშეწყობისათვის გაგრძელდება საქართველოს ქალაქებისა და რეკრეაციული ტერიტორიების მხარდაჭერა, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მოზიდვა.

3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 02)

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველომ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი შეიძინა. ვინაიდან სატვირთო გადაზიდვების საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საავტომობილო გზები. საავტომობილო გადაზიდვებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ განაპირობა არსებული გზების რეკონსტრუქციის, საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზების და ზოგ შემთხვევაში ცენტრალური ქალაქების გვერდის ავლით ახალი, უსაფრთხო საგზაო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა, რითაც გარკვეული ტერიტორიები გამოთავისუფლდება. ეს ტურიზმის განვითარების და ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობის საფუძველი იქნება;

უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს საგზაო ქსელის საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში ინტეგრირება, ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, ავტოსატრანსპორტო დერეფნის განვითარება და საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობის ზრდა, სახელმწიფოთაშორისი და რეგიონთაშორისი ავტოსაგზაო კავშირების გაუმჯობესება, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის გაზრდა, ინტენსიური ავტომობილიზაციის დონესთან და გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების დონესთან საავტომობილო საგზაო ქსელის განვითარების ტემპების შესაბამისობა.

3.1.1 საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 25 02 01)

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.

3.1.2 გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია;

მუნიციპალურ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, აგრეთვე მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება;

სტიქიური მოვლენების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით სამუშაოების განხორციელება;

საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

პროგრამა მოიცავს ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის სამუშაოების ჩატარებას. აღნიშნული საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა გაზრდის სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობას,

უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობას და უსაფრთხო მოძრაობას.

3.2 რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

თვითმმართველ ერთეულებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურების შესყიდვა, სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, სამხედრო, პოლიციური და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო, სარემონტო, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საწარმოების საოპერაციო ხარჯების უზრუნველყოფა, შესაბამისი ფუნქციური დავალებების შესასრულებლად წარმოებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურების შესყიდვა;

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება;

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად ამ პროექტებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და ანალიზი;

თვითმმართველ ერთეულებში (გარდა ქალაქ თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) ნაგავსაყრელების მოწყობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია.

3.3 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)

საქართველოს რეგიონების მოსახლეობისა და ორგანიზაციების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისაგან დაცული სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა;

საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია;

მუნიციპალიტეტებში წყალსადენების სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

3.4 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 03)

ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მეზობელ ქვეყნებთან არსებული ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია და ახალი ხაზების მშენებლობა; სისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა; თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა.

3.5 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი; ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება; ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მონოტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმებისა და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და მათი შესრულების მონიტორინგი; ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავებისა და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა; ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების რესურსების ათვისებისათვის პოტენციური ინვესტორების მოძიება; საქართველოს სხვადასხვა (იმერეთის, კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) რეგიონში გაზის გარეშე დარჩენილი სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირება; ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ შესაბამის პერიოდებში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.

3.5.1 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 36 01 01)

ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი; ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება; ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მონოტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმებისა და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და მათი შესრულების მონიტორინგი; ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავებისა და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა; ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების

რესურსების ათვისებისათვის პოტენციური ინვესტორების მოძიება.

3.5.2 **მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 36 01 02)**

პროგრამა მოიცავს გაზიფიცირების მე-2 ეტაპის სამუშაოების დაწყებას, კერძოდ, საქართველოს სხვადასხვა (იმერეთის, კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) რეგიონში გაზის გარეშე დარჩენილი სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირებას.

3.5.3 **ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 01 03)**

განხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ შესაბამის პერიოდებში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.

3.6 **ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)**

სახელმწიფო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) რეაბილიტაციას, კერძოდ, ვარდნილჰესების კასკადის რეაბილიტაციას.

3.7 **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)**

ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა და ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია; შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საერთაშორისო სპორტული, კულტურული, მარკეტინგული და სხვა ღონისძიებებისათვის სარეკლამო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის რეკლამირებას არა მარტო ერთ კონკრეტულ ქვეყანაში, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომელთა წარმომადგენლები იქნებიან ღონისძიებებზე; საქართველოს ტურისტული პოტენციალის, არსებული ტურისტული პროდუქტების შესახებ ინფორმაციის ფართო მასებისათვის მიწოდების მიზნით სარეკლამო მასალების (ბეჭდვითი პროდუქცია, აუდიო- და ვიდეოპროდუქცია, სასაჩუქრე აქსესუარები) მომზადება; ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის სწრაფად და ეფექტიანად მიწოდების მიზნით ბიზნესსივრცეში საძიებო სისტემის დახვეწა და პრიორიტეტულ ბაზრებზე ვებმარკეტინგის კამპანიის ჩატარება;

სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და მსხვილი ტუროპერატორებისათვის პრესტურების და გაცნობითი ტურების ორგანიზება საქართველოს რეგიონებში; საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, წარმოჩენისა და ტურისტული ნაკადის გაზრდის მიზნით საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობა, ქვეყნისათვის პრიორიტეტულ ბაზრებზე საქართველოს დღეების ორგანიზება (ქვეყნის ტურისტული სტენდის მოწყობა, სამზარეულოსა და ღვინის პოპულარიზაციისათვის ქართული კერძებისა და ღვინის დაგემოვნება, კულტურის წარმოსაჩენად ცნობილი შემსრულებლების მონაწილეობით ღონისძიებების განხორციელება);

ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი ობიექტების შექმნა და არსებულის განახლება, საინფორმაციო-საინტერპრეტაციო დაფების დამზადება და რეგიონებში

განთავსება; საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრული შესწავლა და ინვენტარიზაცია, სტატისტიკური კვლევების ჩატარება და საერთაშორისო ბაზრების შესწავლა შესაბამისი მარკეტინგული კამპანიების დასაგეგმად, მსოფლიოში ტურიზმის სფეროში არსებული სტანდარტების დანერგვა და უცხოურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

3.8 **რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 25 01)**

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების მიზნით რეფორმების განხორციელება, მოქალაქეების მაქსიმალური გააქტიურება და უშუალო ჩართვა მართვის პროცესში, რეფორმების შედეგად თითოეულ დასახლებაში საზოგადოებრივი თვითმმართველობის შექმნა და კოორდინაცია;

თვითმმართველი ერთეულების რაოდენობის გაზრდა და მათი ფუნქციური და მატერიალური გაძლიერება, სამხარეო მმართველობის დონეზე სამხარეო თვითმმართველობის ძირითადი კომპონენტების დანერგვა;

თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ოპტიმიზაცია და გაძლიერება;

სამხარეო ხელისუფლებაში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრება;

სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა;

რეფორმირების პროცესის სამართლებრივი, ტექნიკური და რესურსებით უზრუნველყოფა;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგი;

ტურიზმისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პოლიტიკის შემუშავება;

საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა;

საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია; თვითმმართველ ერთეულებში (გარდა ქალაქ თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) ნაგავსაყრელების მოწყობისათვის საჭირო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

რეგიონებში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის მონიტორინგი.

3.9 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირების დახვეწა, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული პერიოდის შესაბამისად (ევროპული ახალი და გლობალური მიდგომის 16 დირექტივასთან დაახლოება და მათი იმპლემენტაცია);

საქართველოში სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის შექმნისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების გეგმის შემუშავება; ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის შემუშავება და სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ სამრეწველო პროდუქტებზე ზედამხედველობის პროაქტიულ (გეგმურ) სისტემასთან ერთად რეაქტიული სისტემის (ინსპექტირება რისკის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე) დანერგვა;

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისა და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვების გაცემის ელექტრონული სისტემის (ონლაინსისტემის) დანერგვა.

3.10 ბაქო–თბილისი–ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა–ახალქალაქი–კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 07)

ყარსი–ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ხელშეწყობისათვის მარაბდიდან კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე მდებარე კერძო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და ამ პროცესთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, შესასყიდი მიწის ნაკვეთების იურიდიული და ტექნიკური ბაზის მომზადება ნასყიდობის გარიგების გასაფორმებლად, საკუთრების უფლების რეგისტრაცია მყიდველზე, პრობლემური მიწის ნაკვეთების იურიდიული და ტექნიკური ბაზის გამართვა და ინდივიდუალური საკომპენსაციო შეთავაზების მომზადება თანდართული გრაფიკული მონაცემებითა და რუკით.

4 განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

განათლების სისტემა საყოველთაოდ აღიარებულ, თანამედროვე სტანდარტებს დაეფუძნება. გარანტირებული იქნება უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიის მაღალი დონე;

შეიქმნება განათლების სისტემის ეფექტიანი მართვის მექანიზმები. განათლების სისტემის მართვა თანამიმდევრულ და შედეგებზე ორიენტირებულ მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას დაეფუძნება;

შეიქმნება ობიექტური, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმები საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების შესანარჩუნებლად/მოსაზიდად როგორც ადმინისტრაციულ, ისე აკადემიურ და სხვა თანამდებობებზე;

მოხდება განათლების სისტემის ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოება, დაინერგება შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკა და მეთოდოლოგიები. შემუშავდება საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული გეგმების შედგენისა და საქმიანობის ანგარიშის მომზადების ერთიანი მეთოდოლოგიები. განხორციელდება განათლების სისტემის მიუკერძოებელი ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დოკუმენტების საჯაროობა;

დაიხვეწება განათლების დაფინანსების მექანიზმები მისი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა. ამაღლდება განათლების ხარისხი, გაიზრდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი;

გაგრძელდება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და მშენებლობა, განვითარდება პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურა. საჯარო სკოლების მოსწავლეები და კერძო სკოლების ზოგიერთი კატეგორიის მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სასკოლო სახელმძღვანელოებით. პირველკლასელები და ფრიადოსნები (საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებულები) კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან პერსონალური კომპიუტერებით. განხორციელდება მასწავლებელთა ხელფასების ეტაპობრივი ზრდა, აგრეთვე წარმატებული სტუდენტების მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლისა და ცხოვრების დაფინანსება;

პრიორიტეტის ფარგლებში სახელმწიფო განაგრძობს შესაბამისი პროგრამების განხორციელებას, რათა საქართველოს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემები მაქსიმალურად მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რის შედეგადაც საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ, ღირსეული კონკურენტები იყვნენ დასაქმების მსოფლიო ბაზარზე;

შემუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის კუთხით. მეცნიერება გახდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი. ჩამოყალიბდება ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევათა ორგანიზებისა და მხარდაჭერის ახალი, ევროპული ტიპის სისტემა. თანამედროვე

მოთხოვნათა შესაბამისი სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად შეიქმნება ქმედითი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას, მეცნიერების მუდმივ განვითარებას და მის ერთიან სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას;

უზრუნველყოფილი იქნება სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება, კვლევების ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩართვა, ქვეყნის მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია. მეცნიერების სფეროში შეიქმნება შედეგზე ორიენტირებული საგრანტო დაფინანსების სისტემა;

ხელი შეეწყობა ქართული მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციას, მათ შორის, ერთობლივ კვლევით საქმიანობას, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ფორმით. მეცნიერების სისტემა არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პოტენციალს დაეფუძნება. ამ დაწესებულებების მართვაში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ მათი წარმომადგენლები. ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იქნება ნიჭიერი ახალგაზრდების მეცნიერებაში მოზიდვა;

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შეთავაზებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა შრომის ბაზრის მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მუშახელით უზრუნველყოფისათვის, ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უმუშევრობის შემცირებას. უმუშევრობის პრობლემის გადაჭრისათვის მნიშვნელოვანი იქნება პროფესიული გადამზადების სისტემის დახვეწა და ეფექტიანი გამოყენება;

სახელმწიფო განაგრძობს და გააძლიერებს ზრუნვას ეთნიკური უმცირესობებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

სახელმწიფო აგრეთვე განაგრძობს ხელოვნების დარგებში განათლების მიღების შესაძლებლობების მხარდაჭერას და სხვადასხვა სფეროში დასაქმებულთა მუდმივი პროფესიული ზრდის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამხედრო განათლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარება და მისი ნატოს სტანდარტების დონის უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახდება. სახელმწიფო უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეების მიერ თანამედროვე პროფესიებისა და უნარ-ჩვევების დაუფლებას;

მოხდება პენიტენციარული სისტემის მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში.

## 4.1 ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ინკლუზიური სწავლების გაფართოება;

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, სრულად შეასრულონ მათთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები;

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი ხელფასების ეტაპობრივი ზრდა;

ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და მართვა;

საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეებისათვის, კერძო სკოლების სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოსწავლეებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემა;

ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;

საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება.

4.1.1 **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)**

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, სერტიფიცირებული მასწავლებლების, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების გათვალისწინებით.

4.1.2 **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება; სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის განმსაზღვრელი მაღალი სტანდარტის დამკვიდრება,

მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლება, მასწავლებლებისათვის საგანმანათლებლო სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ცოდნის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის გაძლიერებული სწავლების პროცესის გაგრძელება; საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის უცხოური ენების სწავლების გაძლიერება.

4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის ზოგადი განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა;

ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეების და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქოსოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა;

საჯარო სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეთათვის შესაბამისი გაკვეთილების, ექსკურსიებისა და გაფართოებული შეხვედრების ჩატარება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენა;

სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ძალადობის, მათ მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღების ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების/გამოყენების პრევენცია და აღმოფხვრა.

4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობისა და საერთაშორისო დონეზე მათი წარმოჩენის მიზნით ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება; წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება;

მოსწავლეთა ზოგადი განათლების განვითარებაზე ორიენტირებული განსაკუთრებით საინტერესო პროექტების დაფინანსება;

სკოლებისათვის თემატური და კალენდარული დღეებისადმი მიძღვნილი კონკურსების გამოცხადება.

4.1.5 **განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 32 02 05)**

საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა;

ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასება;

საჯარო სკოლებისათვის დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით;

ინკლუზიური განათლების საკითხებში სპეციალური პედაგოგების გადამზადება;

საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა და სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, განსაკუთრებული საჭიროების მქონე, დევნილი, რეპატრიირებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოზარდების ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა, სათემო აქტივობების დაგეგმვითა და განხორციელებით მათში საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის სურვილის გაღვიძება;

სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ბენეფიციარების სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით უზრუნველყოფა. ამ დაწესებულებებში ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა.

4.1.6 **მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)**

საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეების, კერძო სკოლების სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოსწავლეებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

4.1.7 **საზაფხულო სკოლები (პროგრამული კოდი 32 02 07)**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენის სწავლის/სწავლების ხელშეწყობა;

მომავალი ლიდერებისათვის ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა,

როგორებიცაა საკუთარი თავის შეცნობა, მიზნისა და მთავარი ამოცანის ჩამოყალიბება, პრიორიტეტების გამოკვეთა და მათზე ფოკუსირება;

არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

4.1.8 **ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)**

გალის რაიონისა და 2008 წლის აგვისტოს ომამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

4.1.9 **ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 09)**

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობა;

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებასა და ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით სასჯელის მოხდის პერიოდში ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების (როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნების) მიერ სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა.

4.1.10 **საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 11)**

დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა), სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და სოფლებს/დაბებს შორის დიდი მანძილია, მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

4.1.11 **ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 12)**

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა; მოსწავლეებისათვის და სკოლებში დასაქმებულებისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, მოსწავლეებისა და სკოლებში დასაქმებულებისათვის პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენა;

2015-2016 სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა;

სასკოლო ინიციატივების დაფინანსებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და სასკოლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა;

მოსწავლეების ინფორმირებულობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობა;

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიერ ქართული ენობრივ-კულტურული იდენტობისა და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნების, აგრეთვე ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა.

4.2 **უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04)**

უმაღლესი განათლების სფეროში განსახორციელებელი რეფორმების მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივად გამოყენება, ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადებისა და მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევებისთვის პირობების შექმნა, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირების ხელშეწყობა;

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარება;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და უცხო ქვეყნების მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა;

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფა;

წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა;

წარმატებული სტუდენტების მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლისა და ცხოვრების დაფინანსება;

განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა;

აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება;

სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა;

მეცნიერების აღდგენისა და განვითარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის განსხვავებული ფორმების ამოქმედება;

მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება;

სამეცნიერო კვლევების მართვის ოპტიმალური სქემის შემუშავება;

საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

4.2.1 **გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარება;

მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტირების ჩატარების ორგანიზება, რომელთა საფუძველზედაც მასწავლებლები სხვადასხვა საგანში შესაბამის სერტიფიკატებს მოიპოვებენ;

საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა;

მოსწავლეთა და სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების უზრუნველყოფა.

4.2.2 **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02)**

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;

საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების ჩატარება;

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მიმღებთა საქმიანობის მონიტორინგი;

სახელმწიფოს მიერ დამსახურებულ მეცნიერთა ფინანსური მხარდაჭერა.

4.2.2.1 **სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 01)**

სახელმწიფო გრანტების კონკურსის წესით, ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად გაცემის ორგანიზება;

საქართველოში არსებული სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოტენციალის შესახებ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტების განსახორციელებლად წინადადებების მომზადება;

მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფა.

4.2.2.2 **სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 04 02 02)**

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;

საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების ჩატარება.

4.2.2.3 **მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 03)**

საქართველოში მეცნიერების მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად განვითარების ხელშეწყობა;

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;

საქართველოში მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება.

4.2.2.4 **სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 04)**

აგროსასურსათო სექტორში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

4.2.2.5 **მეცნიერების აღდგენა და განვითარება (პროგრამული კოდი 32 04 02 05)**

მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა;

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსებით უზრუნველყოფა;

იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა, რომლებიც ჩართული არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

4.2.3 **სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 03)**

სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტები არის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე სტუდენტისათვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად;

წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდიები, რაც მათ დამატებით სტიმულს მისცემს და უმაღლესი განათლების მიღებაში დაეხმარება;

დაფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის უნივერსიტეტების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

4.2.4 **უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)**

ზოგადი ევროპული მოდელის საფუძველზე შემუშავებული „ქართულის, როგორც უცხოური ენის“ სტანდარტის მიხედვით ქართული ენის ფლობის დონეებად (A1-A2; B1-B2) დაყოფა, ქართული ენის სწავლების განხორციელება როგორც უცხოეთში

მცხოვრები ქართველებისათვის, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისათვის;

ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობა;

უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა.

4.3 **საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05)**

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დაძლევის მიზნით საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების კომპიუტერებით („ნეთბუქებით“) უზრუნველყოფა, წარჩინებული ახალგაზრდების კომპიუტერული ტექნიკით წახალისება;

ოთხწლიან პერიოდში ყველა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, აგრეთვე 150 ახალი საჯარო სკოლის აშენება და 300 მომავლის კლასის გახსნა;

საჯარო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა.

4.3.1 **საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 05 01)**

თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დაძლევის მიზნით საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების სასწავლო-საბავშვო პორტატიული კომპიუტერებით უზრუნველყოფა;

წარჩინებული ახალგაზრდების კომპიუტერული ტექნიკით წახალისება;

საჯარო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

4.3.2 **საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02)**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ტერიტორიული ორგანოების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა.

4.3.2.1 **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 01)**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

საჯარო სკოლების სასკოლო მერხებითა და სკამებით უზრუნველყოფა;

საჯარო სკოლებში წინა წლებში დამონტაჟებული გათბობის სისტემების მდგომარეობის მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

4.3.2.2 **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 02)**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

პროფესიული განათლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და მათი შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

4.3.2.3 **უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 03)**

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია; უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

4.3.2.4 **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 04)**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა და რეაბილიტაცია;

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

4.4 ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (პროგრამული კოდი 32 06)

ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების მიზნით საქართველოს რეგიონებში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება;

სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ჩატარება და მათი საკლასო, ეროვნული და საერთაშორისო შეფასება;

ადგილობრივი ეკონომიკისათვის რელევანტური, ბაზრის მოთხოვნების შესაფერისი პროფესიული განათლების ხელშეწყობა;

მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი უმაღლესი განათლების პროგრამების განხორციელება მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის დარგებში (STEM).

4.5 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;

პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;

პროფესიული განათლების განვითარების 2013–2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება;

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება; კარიერული განვითარების გზებისა და მობილურობის სქემების შემუშავება და

რჩევების შეთავაზება;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადება;

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

მაღალკვალიფიციური, შიგა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებით;

ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვა (მათ შორის, საჯარო სკოლებში), ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდების შემოღება და თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფით.

4.5.1 **პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 32 03 01)**

პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;

პროფესიული განათლების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირთა ჩარიცხვის მაქსიმალურად გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბება;

შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;

პროფესიული განათლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა;

პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება;

ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვის ხელშეწყობა და საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული განათლების პროცესში საჭირო ტექნოლოგიური მხარდაჭერით უზრუნველყოფა;

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვა.

4.5.2 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 02)

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადება.

4.5.3 განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (პროგრამული კოდი 32 03 03)

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

მაღალკვალიფიციური, შიგა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებით;

თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;

საჯარო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდების შემოღება და თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფით.

4.6 სამხედრო განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 29 02)

კადეტების პროფესიული მომზადებით, საცხოვრებელი პირობებით, სასურსათო ულუფით (კვებით), სანივთე ქონებით, უნიფორმით, სამედიცინო დაზღვევით, სასწავლო ლიტერატურით და სოციალური პირობებით უზრუნველყოფა;

ტრენერთა მომზადების პროექტის ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის სექტორში არსებული ინტელექტუალური რესურსის რაციონალურად გამოყენება;

დისტანციური სწავლების სისტემის პროექტის სასწავლო პროცესში დანერგვა თანამედროვე, მოქნილი, ეფექტიანი მეთოდით;

უცხოურ უნივერსიტეტებთან ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება და ამ მემორანდუმების ფარგლებში ერთობლივი პროექტების განხორციელება;

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში უცხოელი ექსპერტებისა და მრჩევლების მოწვევა, გამოცდილების გაზიარება, სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებზე მუშაობა და მათი დახვეწა; აკადემიაში სამაგისტრო პროგრამების ამუშავება და ფუნქციონირება;

ნატოს DEEP-ის პროგრამასთან (სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა) მჭიდრო თანამშრომლობა;

ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ კონსორციუმის PFP-C სამუშაო ჯგუფებში აქტიური მონაწილეობა.

4.7 **განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ამ სფეროში არსებული ყველა რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა და განვითარება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება;

საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია, საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხზე ზრუნვა, მისი მუდმივი გაუმჯობესება და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებების ნდობის ამაღლება;

ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების სისტემის სრულყოფა და მისი მუშაობის უზრუნველყოფა;

საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის გარე მექანიზმების ეფექტიანი მუშაობა;

მოდულარული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კონცეფციის, ჩარჩოსა და მეთოდიკის მომზადება;

პროფესიული განათლების სფეროში დისტანციური სწავლების კონცეფციის მომზადება და პილოტირება;

პროფესიული სტანდარტების შემუშავება-განახლება და დამსაქმებელთან თანამშრომლობით შესაბამისი პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა.

4.8 **სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)**

სახელოვნებო განათლების ღონისძიებების ორიენტირება როგორც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობაზე, ისე სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერაზე, მათ შორის, სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა, სტუდენტთა და საშემსრულებლო სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების სწავლის ხელშეწყობაზე, კონკურენტულ გარემოში აღზრდაზე, ნიჭიერ მოსწავლეთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შემოქმედებით მხარდაჭერაზე, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე, საბიბლიოთეკო ფონდებისა და კოლექციების დაცვაზე, შევსება-გამდიდრებაზე.

4.9 **საბიბლიოთეკო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 02)**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი, საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო დაცვის კონტროლი, შესაბამისი კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა;

ელექტრონული ბიბლიოთეკის გაფართოება და შემოთავაზებული სერვისების გამრავალფეროვნება.

4.10 **სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიციფიური კადრების მომზადება-გადამზადება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 30 03)**

საშუალო რგოლის პროფესიონალი კადრების მომზადებისათვის და პოლიციელის პროფესიის პოპულარიზაციისათვის, სისტემის გაჯანსაღებისათვის, პოლიციელის კარიერული წინსვლისა და თანამიმდევრული სისტემის შექმნისათვის საბაკალავრო პროგრამა „სამართალმცოდნეობის“ (რომელიც უმაღლესი განათლების პირველი საფეხურია) და სამაგისტრო პროგრამა „საპოლიციო რეგულირების სამართლის“

(რომელიც უმაღლესი განათლების მეორე საფეხურია) შემუშავება და განხორციელება;

პოლიციის მუშაობის ეფექტიანობის ზრდა და პოლიციის საზოგადოებაზე ორიენტირებულობა; მეხანძრე-მაშველის მომზადება;

არსებული შენობა-ნაგებობების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სათანადოდ აღჭურვა.

4.11 **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)**

ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისათვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის, მათ შორის, თვითმმართველ ერთეულებში დასაქმებული საჯარო მოხელეებისათვის, ტრენინგების სრული ციკლის ჩატარება (დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება);

მომსახურების სფეროსა და ორგანიზაციული მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სერვისებისა და პროდუქტების გამრავალფეროვნება; კომპიუტერული უნარების განვითარებისათვის ცენტრის თანამშრომლების მიერ სპეციალურ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით რეგიონებში მასობრივი დატრენინგების პროექტის განხორციელება;

საკონკურსო, საატესტაციო და საკვალიფიკაციო ტესტირებების ორგანიზება, მათ შორის, სატესტო დავალებების შექმნა და სატესტო დავალებების ბანკის სრული განახლება შესაბამისი მაღალკვალიფიციური ექსპერტების მონაწილეობით;

ტესტირებების როგორც ოფლაინრეჟიმში, ისე ონლაინრეჟიმში ჩატარების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობის პროგრამის დანერგვის პროექტში აქტიური მონაწილეობა;

ტესტირებებისა და ტრენინგების ჩატარებაში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, აგრეთვე მომსახურების სფეროსა და ორგანიზაციული მართვის გაუმჯობესებისათვის კონსულტირების კომპონენტის გაძლიერება;

ხარისხიანი სერვისებისა და პროდუქტების უზრუნველყოფისათვის არსებული ტესტების, ტრენინგმოდულებისა და სასწავლო კურსების პროგრამების რეგულარული განახლება, მათ შორის, უცხოური სერტიფიცირებული პროგრამების შეძენით;

სტუდენტებისათვის თემატური პროექტების განხორციელება, მათ შორის, საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზება როგორც საქართველოს, ისე რეგიონალური

(სამხრეთი კავკასია) მასშტაბით;

მონაცემთა სპეციალური ერთიანი ბაზის შექმნა, რომელიც თავს მოუყრის საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და სხვა ღონისძიებებში გამოვლენილი პერსპექტიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს. ეს ბაზა ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის უწყებებისათვის, რომლებიც, კადრების საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემებით იხელმძღვანელებენ;

არსებული საგანმანათლებლო სერვისების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის, პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პარალელურად, თანამშრომელთა რეგულარული პროფესიული მომზადება-გადამზადება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით;

ყვარლის სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ყველა სახელმწიფო სტრუქტურისათვის, საქართველოში აკრედიტებული სასწავლო დაწესებულებებისათვის, სამოქალაქო და კერძო სექტორების წარმომადგენლებისათვის გაცნობა.

4.12 **მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)**

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მსმენელებისთვის (მოსამართლეობის კანდიდატებისთვის) სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება სასამართლო სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისათვის;

მოქმედი მოსამართლეების და სასამართლოს თანამშრომლების გადამზადება რეგულარულად ჩატარებული ტრენინგების, სემინარების, ვორკშოპებისა და კონფერენციების საშუალებით.

4.13 **საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, სისტემის მასშტაბით ჩატარებული ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროექტების განხორციელება, თანამდებობრივი ტრენინგების სისტემის დანერგვა და კარიერის განვითარებისკენ მიმართული სასწავლო პროგრამებისა და სხვა პროექტების განხორციელება;

სამინისტროს სისტემაში პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის მსოფლიოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასერტიფიკაციო და ტრენინგპროგრამების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდის სამეფოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და საჯარო სამსახურების დამმობილების (TWINNING) პროგრამის ფარგლებში;

სამინისტროს სისტემაში სტაჟიორების პროგრამების განვითარება და ახალი კადრების დასაქმების მექანიზმის ჩამოყალიბება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ კერძო სექტორის განვითარებისაკენ, აგრეთვე სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისაკენ მიმართული რეფორმების აქტიური მხარდაჭერა სასწავლო-შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტებითა და კონსულტირებით;

კერძო ბიზნესისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება ფინანსურ სფეროში მიმდინარე რეფორმების გაცნობისა და კონსულტაციების გაწევის მიზნით, მათ შორის, საგადასახადო სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების გასაცნობად.

4.14 **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადებით ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, სასჯელაღსრულების სისტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;

განათლებისა და პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის და სასწავლო პროგრამების განვითარება;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;

სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან, აკადემიურ ინსტიტუტთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება;

სისტემაში მისაღები და მომუშავე კადრების ტესტირების ინსტიტუტის დანერგვა და ტესტირების საჭიროებისამებრ ჩატარება, სისტემაში კვალიფიციური კადრების მიღებისა და ადგილზე მათი პროფესიონალიზმის დონის ამაღლების ხელშეწყობა;

მოქმედი სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი პროგრამების მომზადება ადგილობრივი რესურსებითა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა;

საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად პენიტენციარული სისტემის

თანამშრომლების სწავლებისათვის ახალი სახელმძღვანელოების მომზადება და არსებულის განახლება;

სასწავლო პროცესში ჩართული ადგილობრივი და მოწვეული ტრენერების მომზადება-გადამზადებით სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა;

სასწავლო პროცესისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის პერსონალის თვითშეფასების/შეფასების დახვეწით ცენტრის საქმიანობისა და სწავლების პროცესის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

4.15 **ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (პროგრამული კოდი 01 03)**

ქვეყანაში ჰერალდიკის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკების (დროშა, გერბი) შექმნის, მიღების, დამტკიცებისა და გამოყენების წესების სწავლებისათვის სემინარის მომზადება და ჩატარება;

თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკების გამოფენის მომზადება და ჩატარება.

4.16 **მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა უწყებებში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის სრულყოფა (თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემუშავება და არსებულის დახვეწა);

მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ბიბლიოთეკის გამდიდრება;

დიპლომატიური სასწავლო ცენტრის ვებგვერდის შექმნა.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრიორიტეტული მიმართულებაა. მსოფლიო ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეკონომიკის პოზიტიური მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნება და გაუმჯობესება, ვინაიდან ეს მაჩვენებლები მთავარი წინაპირობაა კაპიტალისა და ინვესტიციების მოზიდვისათვის, არსებული საწარმოების გაფართოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ეკონომიკა ინტეგრირებულია მსოფლიო ეკონომიკაში და, შესაბამისად, განიცდის მასში მიმდინარე პროცესების გავლენას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნებას და მათ გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას;

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საყოველთაო პრინციპებს და იმ თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც გამოკვეთს სახელმწიფოს როლს სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

ეკონომიკური პოლიტიკა მდგრადი განვითარების მოდელს დაეფუძნება. სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში საკვანძო როლი მიენიჭება სახელმწიფოს, რომელმაც უნდა განსაზღვროს განვითარების სტრატეგია უმთავრესი მიზნებისა და შესაბამისი ინდიკატორების დონეზე. განვითარების სტრატეგიის ფარგლებში განისაზღვრება ყველა ფუნქცია, რომელთა არსებობა აუცილებელია სტაბილური განვითარებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის;

პრიორიტეტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი სამუშაოები რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, კერძოდ, გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაღალი მაჩვენებლის მიღწევას, სახელმწიფო ვალის ეფექტიან მართვას, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას და ინფლაციის დონის დარეგულირებას;

საგარეო სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკა უზრუნველყოფს საგარეო სახელმწიფო ვალის პორტფელის ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრების შენარჩუნებას და მის მდგრადობას. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება საგარეო სახელმწიფო ვალის კონსერვატიული და პრაგმატული მართვით. სხვადასხვა ტიპის გლობალური/ეგზოგენური რისკებისა და გამოწვევების არსებობის პირობებში ფისკალური მდგრადობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ქვეყანამ ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა შეინარჩუნოს. სახელმწიფო ვალი ლიმიტირებულია და არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს;

სახელმწიფო განახორციელებს ახალ პროგრამებსა და ინიციატივებს და ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენებით ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტით გრძელვადიანი საკრედიტო რესურსების ეკონომიკაში ჩართვას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და, ამავე დროს, მნიშვნელოვნად შეამცირებს დოლარიზაციის კოეფიციენტს;

გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობისათვის სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების სათანადო დონეზე შესასრულებლად და ინვესტორთა ნდობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი პარამეტრია ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი. მაქსიმალურად დაბალანსებული ბიუჯეტით უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკური სტიმულირება და გლობალური ეკონომიკური გამოწვევების შემთხვევაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. საშუალოვადიან პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება დეფიციტის მაჩვენებლის დაბალი ნიშნული.

თავისუფალი ეკონომიკური კურსი, დაბალი და მარტივი გადასახადები, ხარისხიანი საგადასახადო ადმინისტრირება, გონივრული და ზომიერი რეგულაციები უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად საჭირო გარემოს შექმნას. შესაბამისად, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საგადასახადო და მარეგულირებელი ადმინისტრირების ტვირთის მეწარმეთა სიმძლავრის პროპორციულად გადანაწილებას და ამით მცირე და საშუალო მეწარმეობის სტიმულირებას;

გაგრძელდება მუშაობა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისათვის, რათა საქართველოში ეკონომიკური საქმიანობა კომფორტული იყოს როგორც საქართველოს მოქალაქეებისათვის, ისე არარეზიდენტი პირებისათვის. პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიმართული იქნება ქვეყანაში საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისაკენ, რაც გულისხმობს სამუშაოების ჩატარებას, რათა საქართველომ გააძლიეროს თავისი პოზიცია, როგორც რეგიონის ლიდერმა, დაბალი გადასახადების, სწრაფი და ხარისხიანი სერვისების, ლიბერალური კანონმდებლობისა და სტაბილური განვითარების მაჩვენებლების კუთხით;

გაგრძელდება მუშაობა თავისუფალი და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გამოყენების გაუმჯობესების, საქონლის ექსპორტისა და ინვესტიციების გაზრდის მიზნით. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საუკეთესო ბიზნესკლიმატის შექმნით, იმ სისუსტეების გათვალისწინებით, რომლებიც აქვს საქართველოს მისი ბაზრის ზომიდან და გეოპოლიტიკური გამოწვევებიდან გამომდინარე. სახელმწიფოს კურსი საგადასახადო სისტემისა და ადმინისტრირების გამარტივებისათვის, კონკურენტული და არაკორუფციული გარემოს უზრუნველყოფა და შრომის ბაზრის გონივრული და მოქნილი რეგულაციები უზრუნველყოფს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და პოზიტიური სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებას;

საქართველოსათვის რეალურ სექტორში ინვესტიციების განხორციელება ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სახელმწიფო შექმნის ხელსაყრელ გარემოს როგორც შიგა, ისე უცხოური ინვესტიციებისთვის, რაც გულისხმობს ინვესტიციების დაცულობას, სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნესგარემოს შექმნას. პოლიტიკა მიმართული იქნება დანაზოგებისა და რეინვესტირების გაზრდისაკენ. სახელმწიფო პოლიტიკა, მოხმარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის ნაცვლად, დანაზოგებისა და კაპიტალიზაციის ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკისაკენ იქნება მიმართული, რამაც გრძელვადიანი მდგრადი ზრდისთვის გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს;

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის კუთხით საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია საექსპორტო საბაზრო არეალების მნიშვნელოვანი გაფართოება, ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების ამოქმედება, რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა;

სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლიანი, თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნას; ხელი შეეწყობა თანამედროვე და მოქნილი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელზედაც თანაბრად მიუწვდება ხელი ყველა ეკონომიკურ სუბიექტს;

საქართველოს ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად განხორციელდება ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება, რომელიც ქვეყნის შედარებითი უპირატესობების გონივრულ გამოყენებას დაემყარება; განხორციელდება ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის ჩანაცვლება;

პრიორიტეტის ერთ-ერთი მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება და მოქალაქეებისათვის თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაციის საშუალების მიცემა დასაქმების სტიმულირების, საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაციისა და ოპტიმიზაციის გზით, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის მოწესრიგება, რაც გულისხმობს ბუნდოვანი და ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის მომცემი დებულებების აღმოფხვრას, საგადასახადო ნორმების გამარტივებას და სადავო ნორმების მეწარმის სასარგებლოდ გადაწყვეტას; შემცირდება საგადასახადო დავების განხილვაში სახელმწიფოს დომინანტური როლი; შეიქმნება მცირე ბიზნესის დაბეგვრის ოპტიმალური მოდელი, აღრიცხვა-ანგარიშგების მარტივი წესები და დაბეგვრის ალტერნატიული მექანიზმები; განხორციელდება საგადასახადო სისტემაში ცალკეული დარღვევების დეკრიმინალიზაცია;

ერთი მხრივ, სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკა და, მეორე მხრივ, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერა უზრუნველყოფს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობისა და შემოსავლის ზრდას. შესაბამისად, გაიზრდება ამ სექტორში დასაქმების მაჩვენებლები, რაც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საფუძველი იქნება;

სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარება მეტწილად ადგილობრივი წარმოების განვითარებასა და დანაზოგების სტიმულირებაზე იყოს დაფუძნებული; გაფართოვდება ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და დაინერგება გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამები. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა ხელს შეუწყობს საბანკო სექტორისა და ბიზნესსტრუქტურების პარტნიორულ თანამშრომლობას;

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის, ინვესტიციების მოზიდვისა და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საქართველოს მთავრობა ინვესტორებს შეუქმნის სტაბილურ სამართლებრივ გარემოს, გაათავისუფლებს ხელისუფლების ზეგავლენისაგან და მისცემს საკუთრების დაცვის მყარ გარანტიებს. იგი გააქტიურებს მუშაობას ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების დასადებად და ამ მიზნით, საერთაშორისო

მოთხოვნების შესაბამისად, მოამზადებს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ შესატან ცვლილებებს, შეიმუშავებს კონკურენციის შესახებ რეალურ კანონმდებლობას და რეგულირების მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების მექანიზმების დანერგვას და სურსათის უსაფრთხოებას, რაც ამ შეთანხმებების დადების აუცილებელი წინაპირობაა, განახორციელებს საგარეო ვაჭრობის ინტერვენციებისაგან დაცვის რეგულირების ანტიდემპინგურ ღონისძიებებს;

ხელი შეეწყობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის ეფექტიან ფუნქციონირებას და მისი დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს; უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ღონისძიებები.

5.1 **ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია (პროგრამული კოდი 24 01)**

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და კვალიფიციური სექტორული კვლევების განხორციელება; მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურული გაუმჯობესება და ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, თავისუფალი და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების განვითარება; საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა; ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა და სატრანზიტო პოტენციალის განვითარებისა და სრულად რეალიზების მიზნით საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება, საავტომობილო მიმოსვლის განვითარება, რეგიონალური მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სამოქალაქო ავიაციის განვითარება ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლებით; სამშენებლო სექტორის განვითარება მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის, სამშენებლო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდისა და მოსახლეობის ადგილებზე შენარჩუნების მიზნით; სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია და მონაცემთა ერთიანი სისტემების შექმნა, აგრეთვე მისი მართვა-განკარგვა, მოვლა-შენახვა და ეტაპობრივი პრივატიზება ეკონომიკურ აქტივობაში სრულყოფილად ჩართვისათვის; სახელმწიფო საწარმოების ოპტიმიზაცია და თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპების დანერგვა საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისა და მოგებიანობის გაზრდის მიზნით; საწარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს დამწყები, არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევას, კომპანიებისათვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გამარტივებას, ექსპორტის განვითარების ხელშეწყობასა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციას საერთაშორისო მედიასაშუალებების მეშვეობით; ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა; ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებისათვის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა; ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის განვითარების ხელშეწყობა (კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების კავშირგაბმულობის მდგრადი და დაცული საშუალებებით უზრუნველყოფა, ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების მართვისა და ელექტრონული კომერციის სისტემების შექმნა, ინფორმაციული კომუნიკაციების სფეროს განვითარება და

საქართველოს საფოსტო კავშირის სფეროს რეფორმირება); საპენსიო სისტემის რეფორმის ფარგლებში დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარება და სხვა.

5.1.1 **ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)**

ეკონომიკური პროცესების ანალიზი, სექტორული კვლევების განხორციელება ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად; მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება; არსებული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და ახალი ტენდენციების გამოვლენა ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით; ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების შესწავლა და დეტალური კვლევების განხორციელება; საინვესტიციო კლიმატის ამსახველი მასალების მომზადება, ბეჭდვა და დაინტერესებული დელეგაციებისათვის გაცნობა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ; საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება; რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობებისა და რეჟიმების ანალიზი და მათი განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება; ექსპორტის ხელშეწყობისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგების ანალიზი, ახალი საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქციის იდენტიფიკაცია, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება; „მწვანე ბიზნესის“ შესაძლებლობების არეალის გამოვლენის, საქართველოში ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით 4 ძირითად სექტორში (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები, „მწვანე პროდუქტების“ წარმოება, განახლებად ენერგიაზე დაფუძნებული წარმოება) განხორციელებული კვლევების შედეგების საფუძველზე შესაბამისი საპილოტე პროექტების განხორციელება და პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების მომზადება; მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან, „მწვანე ეკონომიკასა“ და „მწვანე ბიზნესთან“ დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო ვებპორტალის (www.greengeorgia.ge) მუდმივი განახლების, სემინარებისა და საჯარო ლექციების მეშვეობით; საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ეროვნული სტრატეგიის განვითარება სატვირთო გადაზიდვებისა და ლოჯისტიკის მიმართულებით და საინვესტიციო პროგრამის შემუშავება მულტიმოდალური სატვირთო დერეფნებისა და „მწვანე ლოჯისტიკის“ მიმართულებით; ადგილობრივი გადამზიდველების საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე გამარტივებული პროცედურებით შესვლის ხელშეწყობისა და ევროპიდან აზიისაკენ და უკუმიმართულებით სარკინიგზო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვების გამარტივებული პროცედურებით განხორციელების მიზნით სხვადასხვა ქვეყანასთან საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმება;

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების, ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლებისათვის საავიაციო სფეროში ევროკავშირის 45 ტექნიკური რეგლამენტისა და 11 დირექტივის იმპლემენტაცია, აგრეთვე სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებისათვის; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ხელშეწყობა, სამშენებლო პროდუქციის წარმოების განვითარება და საქართველოში წარმოებული სამშენებლო პროდუქციის საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა, სამშენებლო სფეროში

ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, საქართველოს მუნიციპალიტეტების, მათი ქალაქებისა და დასახლებების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების დამუშავებაში მონაწილეობა, სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის პროექტის შემუშავება და მიღება; სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა, გამარტივება და ევროპულ და საერთაშორისო ნორმებთან დაახლოება; ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის განვითარების ხელშეწყობა (კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების კავშირგაბმულობის მდგრადი და დაცული საშუალებებით უზრუნველყოფა, ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების მართვისა და ელექტრონული კომერციის სისტემების შექმნა, ინფორმაციული კომუნიკაციების სფეროს განვითარება და საქართველოს საფოსტო კავშირის სფეროს რეფორმირება); საპენსიო სისტემის რეფორმის ფარგლებში დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარება და სხვა.

5.1.2 სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია და მონაცემთა ერთიანი სისტემების შექმნა; საწარმოს მართვისა და განკარგვის სწორი სტრატეგიის განსაზღვრა; სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობის ფუნქციის სრულყოფა; სახელმწიფო საწარმოების ოპტიმიზაცია და თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპების დანერგვა საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისა და მოგებიანობის გაზრდის მიზნით; საწარმოთა პრივატიზების ხელშეწყობა ეკონომიკურ აქტივობაში სრულყოფილად ჩართვისათვის; გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა; ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა და სერვისების ელექტრონიზაცია.

5.1.3 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 03)

საწარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს დამწყები, არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევას სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით, კომპანიებისათვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გამარტივებას; ექსპორტის განვითარების ხელშეწყობასა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციას საერთაშორისო მედიასაშუალებების მეშვეობით.

5.1.4 საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა (პროგრამული კოდი 24 01 04)

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა: საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადამცემი DVB-T2-ის სტანდარტის მიწისზედა საეთერო-სამაუწყებლო ქსელის დაპროექტება, მშენებლობა და ახალაგებული ქსელის ინტეგრაციის სამუშაოების განხორციელება; 70 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის (250 000 ოჯახამდე) ციფრული მაუწყებლობის ინდივიდუალური მიმღებების შეძენა და დამონტაჟება; მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის საინფორმაციო კამპანიის წარმოება, ბუკლეტებისა და დამხმარე საინფორმაციო მასალების შედგენა, ტიპოგრაფიული ბეჭდვა და მოსახლეობაში გავრცელება.

5.1.5 საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 05)

ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებისათვის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა; ICT ტექნიკური პარკის შექმნა და განვითარება ქართველი მეცნიერების, მკვლევრების, სპეციალისტების, ინოვაციური ჯგუფების, სტუდენტებისა და მეწარმეების მიერ ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნისა და შემდგომ მათ დანერგვასა და ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში მონაწილეობის მიზნით.

5.2 შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და პროცედურების დახვეწის გაგრძელება, გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის ელექტრონული მომსახურების განვითარება; საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება, მათ შორის, სრულყოფილი კონტროლის პროცედურების დანერგვისათვის საბაჟო გამშვები პუნქტების პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავება, ტვირთის გაფორმების დროისა და ხარჯების შემცირებისათვის დეკლარირების პროცედურების გამარტივება და აქციზური მარკების მოძრაობისა და აღრიცხვის ახალი საინფორმაციო სისტემის შექმნა; მომსახურების გაუმჯობესებისათვის საგადასახადო და საბაჟო კუთხით მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ინფრასტრუქტურის განახლება; საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტებისა და ბროშურების სისტემატურად გამოცემა, საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოებისა და გადამხდელთა სისტემატური ინფორმირება და საჯაროობის ამაღლება; საგადასახადო დავების მექანიზმების დახვეწა და მედიაციის საბჭოს ფუნქციონირების გაუმჯობესება; საგადასახადო დავალიანებების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელება და ხარვეზების აღმოფხვრა.

5.3 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

სახელმწიფო პრიორიტეტების დაფინანსება, ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება; მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების გაუმჯობესება, მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი არეალის გაფართოება, გრძელვადიანი პროგნოზირების გაუმჯობესება, მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირების სრულყოფა, ფისკალური რისკების მართვისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება; დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების გაგრძელება, რათა შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის დასაფინანსებლად დამატებითი რესურსების მოზიდვა ქვეყნისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით; დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად სახელმწიფო საგარეო ვალის კონტროლის გაგრძელება, რათა მან შეინარჩუნოს ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფს მის მდგრადობას როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში; სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება, სახელმწიფო ვალის შესახებ კანონმდებლობის დახვეწა, ვალის მართვის ანალიტიკური ნაწილის გაძლიერება; პირობითი ვალდებულებების აღრიცხვისა და მართვისათვის შესაბამისი სისტემის შექმნა; საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციების გათვალისწინებით სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების გაგრძელება, რაც ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას; საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და საქართველოს საგადასახადო კოდექსის სრულყოფა, რაც გულისხმობს საგადასახადო ტვირთის თანაბარ განაწილებას გადასახადის გადამხდელებს შორის, მეწარმეთა მოთხოვნებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინებასა და გონივრული საგადასახადო განაკვეთების შემუშავებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და სამეწარმეო სტიმულის ამაღლებას; საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა, რაც გულისხმობს ორმაგი დაბეგვრის თავიდან

აცილების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების არეალის გაფართოებას, შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებების გაფორმებისათვის პრიორიტეტების განსაზღვრას და იმ ქვეყნებთან შეთანხმებების ინიცირებას ან არსებულ შეთანხმებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, რომლებთანაც საქართველოს აქვს ეკონომიკური და საინვესტიციო ინტერესები; საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებების ინიცირება და მათი გაფორმების არეალის გაფართოება; საბაჟო კანონმდებლობის სფეროში არსებული კანონდარღვევების აღკვეთისათვის საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებების გაფორმება იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც საქართველოს აქვს ეკონომიკური და სავაჭრო ინტერესები; გამჭვირვალობისა და საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა; საბიუჯეტო სისტემის ლიკვიდურობის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზების შედგენა და მართვა; სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა, სახელმწიფო ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება, ბიუჯეტის ანგარიშგების ფორმების დახვეწა; რეფორმების გაგრძელება საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების განვითარებისათვის; შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის გაუმჯობესება და პროგრამული ფორმატის ბიუჯეტის აღსრულებისა და შესრულების ანგარიშგების სრულყოფა როგორც სახელმწიფო, ისე ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებთან დაკავშირებულ პროცესში; თვითმმართველი ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა, რაც გააუმჯობესებს სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობასა და აღრიცხვიანობას; საჯარო ფინანსების კონსოლიდირებული მართვის გაუმჯობესება, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების ანალიზის გათვალისწინებით; საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთო მეთოდოლოგიის შემუშავების გაგრძელება და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა; დაგეგმვისა და შესრულების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება, სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შემუშავება და დანერგვა; პოლიტიკის ანალიზისა და სტრატეგიული დოკუმენტების შექმნის ერთიანი სტანდარტისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, რეგულირებაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და ანალიზის საფუძველზე მისი საქართველოში დანერგვა; შიდა კონტროლის სისტემისა და შიდა აუდიტის სრულყოფილად ჩამოყალიბებისათვის მუშაობის გაგრძელება, შიდა კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიული ხედვის დოკუმენტის მომზადება, ჰარმონიზაციის ცენტრის გაძლიერება და შიდა აუდიტის შესაბამისი მეთოდოლოგიის შექმნა, შიდა კონტროლის შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება როგორც მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის, ისე დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის.

5.4 **ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა; საჯარო ფინანსების მართვის სისტემის განვითარება და საბიუჯეტო სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მხარდაჭერა, მათ შორის, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის (eTreasury) მოდულების განახლებით, რაც დაკავშირებულია ყველა დონის ბიუჯეტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსების მართვის სახელმწიფო ხაზინის ერთიან სისტემაში მოქცევასთან; საქართველოს

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა და ანალიზი; პროგრამული უზრუნველყოფის ახალი სისტემების შექმნა, დანერგვა და მომსახურება; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ხელშეწყობა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებგვერდების შექმნა; ელექტრონული მთავრობის კომპონენტების განვითარება და შესაბამისი სახელმწიფო სერვისების მიწოდება; ელექტრონული მმართველობის კომპონენტების განვითარება და შესაბამისი მუნიციპალური სერვისების მიწოდება; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემების ქვეყნის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია.

5.5 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება;

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამების შემუშავება;

სტატისტიკური კვლევების მართვისა და განხორციელების საჭირო საკადრო და ადმინისტრაციული რესურსებით უზრუნველყოფა;

სტატისტიკური კვლევების ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით მხარდაჭერა.

5.6 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის მიერ 2013 წლის 2 აპრილს დამტკიცებული საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება და პირველადი შედეგების გამოქვეყნება.

5.7 სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (პროგრამული კოდი 56 00)

საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა; საინფორმაციო ქსელის შექმნა, რომელიც ახორციელებს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციასა და ანალიზს, უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა ბაზის შექმნასა და ფუნქციონირებას.

5.8 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კვლევების მომზადება, განხორციელება და შედეგების გავრცელება, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალისა და საინვესტიციო მიკროკლიმატის შეფასება, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნესსექტორში, აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზი, სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროებში, კერძო და სახელმწიფო სექტორებში შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა;

მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შეფასებისათვის მოსახლეობის უთანაბრობის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე სხვა მაჩვენებლების დადგენა;

ტურიზმის სტატისტიკის კვლევა;

ენერგორესურსების მოხმარების სტატისტიკის კვლევა.

5.9 სსიპ – კონკურენციის სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა; ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობისათვის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლისათვის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაწესების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვა, რაც ითვალისწინებს: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას; კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას; სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდავი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობას; კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარების დაუშვებლობას; კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას; კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფას.

5.10 ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 49 02)

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

წინა წლებში შემოსული და პოტენციური უცხოელი ინვესტორებისათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა;

ტურიზმის, მომსახურების, სოფლის მეურნეობის (აგრობიზნესი), ენერგეტიკის, ლოჯისტიკისა და მრეწველობის სფეროებში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საჭირო სამუშაოების ჩატარება.

5.11 საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 49 01)

სტაბილური ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება; წინა წლებში შემოსული და პოტენციური უცხოელი ინვესტორებისათვის საინფორმაციო

მომსახურების გაწევა და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა; ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სექტორებში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საჭირო სამუშაოების ჩატარება.

5.12 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

ქართული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე შეღწევისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის შესაბამისად; მიღწეული საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება, გაფართოება და აღიარების მიღწევა გაზომვების ახალ მიმართულებებში; საქართველოს სახელმწიფო ეტალონების შენახვისათვის მეტროლოგიური ლაბორატორიების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოწყობა, ეტალონური ბაზის განახლება-მოდერნიზება CIB (Comprehensive Institutional Building) პროგრამის ფარგლებში და ეტალონების მიკვლევადობის უზრუნველყოფა; საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობის ზრდა და სტანდარტების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის მომსახურების ელექტრონული საშუალებების დანერგვა; სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, აგრეთვე საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა უნარების განვითარება საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და კომუნიკაციის სფეროებში.

5.13 საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (პროგრამული კოდი 52 01)

მეწარმე სუბიექტების შესახებ საჭირო ინფორმაციის მარტივად და დროულად მიღებისათვის ბიზნესკატალოგის ფორმატის საძიებო ვებპორტალის შექმნა;

საქართველოში ექსპორტ-იმპორტის და საბაჟოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;

მეწარმე სუბიექტებისათვის შესაბამისი საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებისა და რეკომენდაციების გაწევა;

დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარების კუთხით საერთაშორისო (რეგიონალური) საარბიტრაჟო ინსტიტუტის განვითარება და საქართველოს ეროვნული მედიაციის ცენტრის შექმნა;

საქართველოში ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების გზით სოციალური ფონის გაუმჯობესებისათვის პროფესიული განათლების კოორდინაცია და პროფესიული განათლების ცენტრის შექმნა;

თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების გათვალისწინებით საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება;

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რეგიონული პალატების განვითარება;

ბიზნესკატალოგის განახლებადი და ყოველწლიური ბეჭდვითი ვერსიის შექმნა;

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების ელექტრონული სისტემის დანერგვა;

„ატა კარნეტის“ საერთაშორისო სასაქონლო პასპორტისა და „ბიოსერტიფიკატების“ გაცემასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება;

ბიოუსაფრთხოების სფეროს ეფექტიანი მართვისა და კოორდინაციისათვის ბიოუსაფრთხოებისა და აკრედიტაციის ეროვნული კომისიის შექმნა.

5.14 **აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)**

უცხოურ ბაზრებზე ტექნიკური ბარიერების დაძლევისა და ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით აკრედიტაციის სისტემის დახვეწა და მისი აკრედიტაციის საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (EA (European Cooperation for Accreditation), ILAC (International Laboratory Accreditation Cooperation), IAF (International Accreditation Forum)) მიზანმიმართული თანამშრომლობის გაგრძელება და EA-ს ტექნიკური კომიტეტებისა და გენერალური ასამბლეის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა, აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის საერთაშორისო მოთხოვნებთან სწრაფი დაახლოება აკრედიტაციის შედეგების თანამიმდევრული საერთაშორისო აღიარების საფუძვლების შექმნისათვის; საქართველოს ეკონომიკის მოთხოვნების თანახმად, შესაბამისობის შემფასებელი პირებისათვის სერვისის შეთავაზება როგორც კანონმდებლობით რეგულირებულ, ისე ნებაყოფლობით სფეროებში; რეგიონალური მასშტაბით აკრედიტაციის ფორუმის ჩატარება; შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება; საერთაშორისო სტანდარტის (ISO/IEC 17043) შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდების ჩამტარებელი პირების აკრედიტაციის სქემის შემუშავება.

6 **ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა**

ინსტიტუციური განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება, ვინაიდან იგი არის ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი, საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციების მქონე ხელისუფლების შტო. პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებით სახელმწიფო განაგრძობს ქვეყნის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერას, სამოქალაქო პლურალიზმის ხელშეწყობასა და საარჩევნო სისტემის განვითარებას;

პრიორიტეტი აგრეთვე ითვალისწინებს სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებს, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას;

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა გულისხმობს როგორც კონსტიტუციური, ისე ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი საკითხების მოწესრიგებას მეტი ეფექტიანობის მიღწევისათვის, საჯარო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ რეგულირებას საკანონმდებლო დონეზე და შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების დახვეწას.

6.1 საკანონმდებლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01)

საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6.2 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (პროგრამული კოდი 05 01)

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართავს და საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობს; უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით; გარე აუდიტის შესაძლებლობების, საკანონმდებლო მანდატისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი; სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

6.3 პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერა;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმ პარტიების დაფინანსება, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ან ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში მიიღეს მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან 3%-ზე მეტი;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისათვის (კვლევები, სწავლება, კონფერენციები, მივლინებები, რეგიონული პროექტები) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა;

არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო

კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა.

6.4 **სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)**

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერისათვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და კონტროლი; სისხლის სამართლის რეფორმაში ჩართულ უწყებებს, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და მიმდინარე რეფორმის მონიტორინგი; სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა – სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება და მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება; იმპლემენტაციის პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია; წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების პირობების შესრულების ხელშეწყობა, პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება და ევროკავშირის დელეგაციისათვის წარდგენა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა; ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეფორმირება, სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის უფლებების გაზრდისა და შეჯიბრებითობის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტის შემუშავება; არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მომზადება, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების მექანიზმის დახვეწა; ანტიკორუფციული და კარგი მმართველობის რეფორმის განხორციელება – კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გაძლიერება, მისი როლის გაზრდა და ქმედით ორგანოდ გარდაქმნა; ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერიოდული განახლება და მონიტორინგი, ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ანგარიშების მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცესში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობისათვის უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა, მათი შესრულების შესახებ სახელმწიფო ანგარიშის მომზადების უზრუნველყოფა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ანგარიშგება; ანტიკორუფციული პოლიტიკისა და რეფორმების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა და ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, მისი შემუშავების პროცესში საჯარო კონსულტაციების გამართვა; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვა, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში გაბნეული ნორმების ერთ ნორმატიულ აქტში გაერთიანების მიზნით ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტის შემუშავება; საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის საფუძველზე საჯარო სამსახურში ეთიკის ნორმების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ანაზღაურების, წახალისებისა და დაწინაურების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებისათვის საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება; სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, აღსრულების კოდექსის პროექტის შემუშავება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების გზით; „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის გადახედვა; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკეული ინსტიტუტების გადახედვა, „სუმარული წარმოების“ (Summary judgment) ინსტიტუტის შემოღება, რომლის შედეგადაც შემცირდება სასამართლოში საქმის განხილვის ვადები, პროპორციულად შემცირდება ადვოკატისა და სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, დაიზოგება სასამართლოს რესურსები და სასამართლო განიტვირთება უსაფუძვლო სარჩელებისაგან; ადმინისტრაციულ ორგანოებში ადმინისტრაციული საჩივრების ერთჯერადად განხილვის პროცესის გადასინჯვა.

6.5 **საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)**

რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვა, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა ასარჩევად საყოველთაო არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა;

არჩევნებისა და რეფერენდუმის/პლებისციტის მონაწილეთა მიერ თავიანთი კანონიერი უფლებების დაუბრკოლებლად განხორციელების უზრუნველყოფა;

არჩევნების პროცესთან დაკავშირებული სამოქალაქო აქტივობების მხარდაჭერა და ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის ამაღლება;

ამომრჩეველთა ინფორმირების ინსტრუმენტების შექმნა, პროფესიული ეთიკის ელემენტების გაძლიერება, სავალდებულო ტრენინგების, სერტიფიცირების, დისტანციური და ელექტრონული სწავლების მეთოდების დანერგვა;

ეფექტიანი საკომუნიკაციო არხების განვითარება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მედიის, სოციალური ქსელებისა და პირდაპირი კავშირების გამოყენება;

საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

6.6 **ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)**

არსებული დოკუმენტების დაცვა-შენახვის პირობების გაუმჯობესების, დაცვის სისტემებით აღჭურვის, ახალი დოკუმენტებისათვის დამატებითი საცავების შექმნისა და თანამშრომელთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ზუგდიდისა და ახალციხის რეგიონული არქივების შენობათა კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და ახალი, დამატებითი საცავების მშენებლობა, აგრეთვე ქუთაისში არქივის ახალი შენობის აშენება; არქივის ცენტრალიზაციის მომდევნო ეტაპის შედეგად 47 ადგილობრივი არქივის დოკუმენტების 6 რეგიონულ არქივში განთავსება; მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მომსახურების ელექტრონული პროგრამების ახალი პარამეტრების შემუშავება, არსებული ელექტრონული

პროგრამების განახლება და დახვეწა, მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის სისტემის, საარქივო დოკუმენტების (ფოტო-, ვიდეო-, ფონო-, ტექსტური დოკუმენტების, რუკების) ელექტრონული კატალოგების, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS), სივრცითი მიების პროგრამისა და ონლაინმომსახურების რეჟიმის, დანერგვა; მოქალაქეთა მომსახურების პროგრამის პარამეტრების გაუმჯობესება, აგრეთვე ეროვნული საარქივო ფონდის ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნა და სრულყოფა დოკუმენტების ელექტრონული ასლების ხელმისაწვდომობის გაზრდის, ფიზიკური და იურიდიული პირების სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების, დოკუმენტების დედანთა შენარჩუნებისა და ეროვნული მეხსიერების დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით; სკანირების აპარატურის კალიბრაციისა და ოპერირების პროგრამის, სკანირების პროცესის მონიტორინგის სისტემის, სკანირებული დოკუმენტების ელექტრონული რეესტრისა და ანოტირების სტანდარტების შემუშავება და დანერგვა.

6.7 **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)**

საზოგადოებრივი ცენტრების (სოფლის სახლების) მშენებლობა, გამართული ფუნქციონირება და მომსახურების ეფექტიანი მიწოდება; საჯარო ბიბლიოთეკების ბაზაზე საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციის განვითარება, რაც გულისხმობს შერჩეული სოფლის ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის გამართვას, ტექნიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფასა და თანამშრომელთა გადამზადებას; თვითმმართველ ერთეულებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროექტის განხორციელება; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწა, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობა, მონაცემთა ბაზების ტექნოლოგიური სრულყოფა, მონაცემთა ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, მონაცემთა ბაზებში არსებული ხარვეზების ანალიზი და გამოსწორება; მოსახლეობის რეესტრის ხარისხის გაუმჯობესება; განახლებადი, საიმედო მონაცემთა ბაზის შექმნა და დამისამართების ერთიანი სტანდარტის დანერგვა, ციფრული ხელმოწერა და ორგანიზაციის ციფრული შტამპის განვითარება.

6.8 **სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური (პროგრამული კოდი 53 00)**

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა; მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა; იურიდიული დახმარების სისტემის მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა.

6.9 **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 01)**

საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება; წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციისათვის რეკომენდაციების შემუშავება; მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და წარდგენა; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა; ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადებების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება; შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი შესრულების შეფასება; საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი რაოდენობის გაზრდა; ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება, მათ შორის, სოციალური რეკლამის დამზადება და მედიის საშუალებით გავრცელება; სამიზნე აუდიტორიისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება; საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა; ადამიანის უფლებათა თემატიკაზე ყოველთვიურად საჯარო დებატების გამართვა, კონკურსების ჩატარება, სხვადასხვა პუბლიკაციის გამოცემა და გავრცელება; ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა; ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა; რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის წარდგენა; ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელება რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების ჩართულობით; ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში; არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება; სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი; 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მომზადების ზედამხედველობა სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლის მიმართულებით; საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადებების/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება; საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების დაცვა; გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება; ე. წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგის განხორციელება.

6.10 **ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 06)**

საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – „სმართ ლოჯიქში“ მენეჯერული პროცესების დანერგვა სხვადასხვა უწყებისათვის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სერვისების სრული სპექტრის მიწოდების მიზნით, კერძოდ: ქსელური უზრუნველყოფა, ელექტრონული ფოსტის სერვისი, ონლაინკომუნიკაციის საშუალებები, ტელე- და ვიდეოკონფერენციები, დროისა და დავალებების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარება, არასასურველი და მავნე ელფოსტის, პროგრამებისა და ვირუსებისაგან დაცვა, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის შექმნა და ინციდენტების მართვა, ციფრული სატელეფონო სერვისი, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურება და სხვა სერვისები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე გარემოში სრულყოფილი ოპერირებისათვის; ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სერვისების მიწოდების ახალი, თანამედროვე „Cloud Computing“-ის „IaaS“ მოდელის დანერგვა, რომელიც დანახარჯების ეკონომიით უზრუნველყოფს ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მრავალი ორგანიზაციის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით შესაბამისი კვლევის ჩატარება და ინოვაციური ბიზნესგადაწყვეტილების შექმნა, რაც გულისხმობს კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული დამკვეთისათვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას და მაქსიმალურად მორგებას მის ბიზნესპროცესებზე; სისხლის სამართლის საქმეთა ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის სხვადასხვა მოდულის შექმნისათვის

პროექტის გეგმის შედგენა და ამოცანის ჩამოყალიბება, ავტომატიზებულ სისტემაში სხვადასხვა ორგანიზაციის (ადვოკატურა, სასჯელაღსრულების სისტემა, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე სოციალური მუშაკები) ჩართვა, აგრეთვე სასამართლოს ჩართვისათვის საჭირო ინტეგრაციის მოდულის შემუშავება; დევნილთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა-განახლება და ვებტექნოლოგიის გამოყენებით გადაწერა; ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი ორგანიზაციებისათვის ზუსტი დროის გამოყენების მიზნით სპეციალური ტექნიკური მოწყობილობების დანერგვა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება გარანტირებულად ზუსტი და მდგრადი დროის განსაზღვრა, რაც გამორიცხავს დოკუმენტებსა და პროცესებში მითითებული დროის უზუსტობას.

6.11 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

არსებული საინფორმაციო სისტემებისათვის მონაცემთა ადაპტერის დამატება ერთიან საინფორმაციო სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად, ინფორმაციასთან წვდომის გაუმჯობესება, მისი დაცულობა და საიმედოობა, სისტემის საშუალებით ახალი კომბინირებული ელექტრონული სერვისების შექმნა, მოსახლეობისათვის მომსახურების ერთი ფანჯრის პრინციპით და ნაკლები დანახარჯებით მიწოდება; მოქალაქის პორტალში ყველა იმ ელექტრონული სერვისის ინტეგრირება, რომელთაც ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სთავაზობენ მოქალაქეებს, ბიზნესსა თუ არასამთავრობო სექტორს; საკონტეინერო გადაზიდვების პროცესში (იმპორტი/ექსპორტი) ჩართულ კერძო და სახელმწიფო სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესის გამარტივებისათვის საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემის შექმნა; საკონტეინერო გადაზიდვების ბათუმისა და ფოთის პორტების გავლით განხორციელება (სისტემამ უნდა მოიცვას ყველა სახის სახმელეთო და საჰაერო ტვირთი); სისტემის მსგავსი პროფილის საერთაშორისო სისტემებთან ინტეგრაცია; სახელმწიფო დაწესებულებებს შორის ოფიციალური დოკუმენტბრუნვის ელექტრონულად, ერთიან სტანდარტზე დაფუძნებით და ინფორმაციის გაცვლის დაცული ინფრასტრუქტურის ფარგლებში განხორციელება; ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტანდარტების ჩამოყალიბება; სპეციალური კითხვარის შემუშავება, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო დაწესებულებები შეძლებენ შეაფასონ საკუთარი მონაცემები და განახორციელონ იმ ცხრილების, მონაცემთა მასივებისა და ელექტრონული სერვისების იდენტიფიცირება, რომელთა გამოქვეყნებაც შესაძლებელია ღია მონაცემების პორტალზე (data.gov.ge); ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სახელმწიფო სისტემის შექმნა.

6.12 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

საჯარო და კერძო პირებისათვის მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა;

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;

საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება);

მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;

პერსონალური მონაცემების დამუშავების ევროპული სტანდარტების დასანერგად შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და რეკომენდაციების მომზადება, ინსპექტირების მეთოდოლოგიის შემუშავება და დახვეწა, სხვა ქვეყნებში მონაცემთა გადაცემაზე კონტროლის გაუმჯობესება.

6.13 **სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი 48 00)**

დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა;

სადაზღვევო საქმიანობის განზოგადება;

სავალდებულო დაზღვევების შესახებ სტანდარტების შემუშავება;

სადაზღვევო კომპანიებისათვის ლიცენზიების გაცემა, მათ შორის, პიროვნული ლიცენზიების გაცემა.

6.14 **სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო (პროგრამული კოდი 50 00)**

საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა, საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის იმპლემენტაცია, საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების მუშაობის კოორდინაცია, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების დროულად შევსებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის პროგრამის კოორდინაცია და კონტროლი; საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობისა და ნორმატიული აქტების შესრულების ანალიზი.

6.15 **სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები (პროგრამული კოდ ები 11 00–19 00)**

სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინირებულად შეიმუშავებენ თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტებს, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით მოამზადებენ წინადადებებს, გააკონტროლებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას.

6.16 **ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 10)**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებში არსებული ევროპული კანონმდებლობის, სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი ქართული ნორმატიული ბაზის შესაქმნელად თარგმნის განხორციელება; საქართველოს ნორმატიული აქტების თარგმნა ინგლისურ ენაზე და ევროკავშირის კანონმდებლობის

თარგმნა ქართულ ენაზე; თარგმნილი სამართლებრივი აქტების ოპერატიულად განთავსება შესაბამის ვებგვერდზე და დაინტერესებული მომხმარებლისათვის მათი სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

6.17 **საარჩევნო ინსტიტუციის განვითარებისა და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03)**

საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა;

კომპეტენციის ფარგლებში მონიტორინგის განხორციელება;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება;

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება.

6.18 **იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 09)**

მომსახურების ხარისხის განვითარების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის „წინა ხაზის“ თანამშრომლების პერიოდული გადამზადება, პროდუქტებისა და მომსახურების პროცესების განვითარება, იუსტიციის სახლში დამატებითი კერძო და სახელმწიფო სერვისების ინტეგრაცია, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის რეგულარული განხორციელება; სერვისების ცნობადობის ზრდისთვის მარკეტინგული ღონისძიებებისა და პიარღონისძიებების განხორციელება; საერთაშორისო მასშტაბით იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტი და ბრენდის პოპულარიზაცია დაინტერესებულ ქვეყნებში; იუსტიციის სახლების შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით მომარაგება; იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში ღონისძიებების დაგეგმვა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ხარვეზის გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით; საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლის ახალი ფილიალების აშენება.

7 **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა**

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა სახელმწიფოს ვალდებულებების ნაწილია და, შესაბამისად, სახელმწიფოსთვის ამ კუთხით განსახორციელებელი პროგრამები და ღონისძიებები პრიორიტეტული მიმართულებაა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნებამდე სახელმწიფო განახორციელებს ზრუნვას იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შეთავაზების მიზნით, რაც გულისხმობს როგორც დევნილთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, ისე დევნილთათვის საცხოვრებელი ფართობების დაკანონების და მათი გონივრული განსახლების ღონისძიებებს, რათა ყველა დევნილს ღირსეულ პირობებში ცხოვრების საშუალება მიეცეს. იძულებით გადაადგილებული პირების საზოგადოებაში სრული

ინტეგრაციის მიზნით მათთვის სათანადო პირობების შექმნა კერძო საკუთრების მოპოვებისა და დასაქმების გზით ხორციელდება იმ დათქმით, რომ მათი, როგორც საქართველოს მოქალაქეების, უფლება, დაბრუნდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისევე, როგორც მათი საკუთრების უფლება, შეუქცევია;

სახელმწიფო ასევე განაგრძობს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას ლტოლვილთა დახმარების, რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციისა და ეკომიგრანტთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის მიზნით;

კონფლიქტების სრულმასშტაბიანი მოგვარების საფუძვლის მოსამზადებლად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტაბილური, უსაფრთხო გარემოს შექმნას, პროვოკაციების საფრთხის პრევენციის მყარი მექანიზმის ჩამოყალიბებას და უსაფრთხოების გარანტირების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფას. გზა გაეხსნება სახალხო დიპლომატიას, ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და ბიზნესპროექტებს;

მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით მნიშვნელოვნად გაფართოვდება არასამთავრობო სექტორის ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს მხარეთა სხვადასხვა „ინტერესთა ჯგუფის“ დიალოგს;

კონფლიქტების მოგვარებისათვის გადამწყვეტი იქნება დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაჭრის დაჩქარება. ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებამ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საზოგადოებები ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების უპირატესობაში უნდა დაარწმუნოს.

7.1 **განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)**

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის განახლება და მის შესაბამისად იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართობების მოძიება, აშენება, რეაბილიტაცია და კერძო საკუთრებაში გადაცემა;

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან და ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა;

სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა განსახლების ობიექტების შესწავლა და რეაბილიტაცია;

ბენეფიციართა რაოდენობის დაზუსტება და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაწევა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

საცხოვრებელი ფართობების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახებისთვის ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემა;

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

გრძელვადიანი განსახლებისათვის განსაზღვრულ ობიექტებში (აშენებული, რეაბილიტირებული) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა; იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა; დასაქმების, მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; დევნილთა ჩასახლებებში, განსაკუთრებით სოფლად, შესაბამისი პროექტების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო და სხვა ბიზნესპროექტების დაფინანსების უზრუნველყოფა; იძულებით გადადგილებულ პირთა ხელშეწყობა – ტექნიკური დახმარება, ტრენინგებისა და სასწავლო ტურების ჩატარება და საჭირო ინვენტარით აღჭურვა.

7.2 **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)**

ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებელთა, რეპატრიანტთა მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაციისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა და სოციალური დაცვა;

დევნილთა თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-აღმოფხვრა და უკიდურესად გაჭირვებული, დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება საერთო კრიტერიუმების საფუძველზე;

რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების სისტემატიზაცია, ანალიზი და განხილვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;

არალეგალური მიგრაციის პრევენცია, დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობის გაზრდა;

რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის უფლების მქონე დევნილების გამოკვეთა აღნიშნული ქონების პრივატიზაციის პროცესის მოსამზადებლად;

ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

7.3 **იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 25 05)**

იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური დაცვის, მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით დევნილთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება.

7.4 **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისგან გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებთა შორის ნდობის აღდგენის, მათი შერიგებისა და დეოკუპაციისათვის საფუძვლის მომზადების მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავების მიმართულებებით განსახორციელებელი პროექტების ხელშეწყობა და კოორდინაცია; ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათთვის განათლების, მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათი სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარება; რეინტეგრაციის მიზნით ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

8 **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად აუცილებელია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მისი მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა;

პრიორიტეტის მიზანია სახელმწიფოს მიერ კულტურის სფეროში საქართველოს

მოქალაქეების თავისუფალი საქმიანობისა და შემოქმედებით პროცესში ხელისუფლების ჩაურევლობის უზრუნველყოფა;

მოხდება ქართული კულტურული სივრცის მსოფლიოს კულტურულ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობა დაცული იქნება მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. რეაბილიტაციის პროცესი წარიმართება საერთაშორისო სტანდარტების, იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით;

სახელმწიფო განაგრძობს ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, საქართველოს კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და რეაბილიტაციას;

ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მოხდება ისტორიული ძეგლებისა და მუზეუმების დაცვა და განვითარება, კულტურის პოპულარიზაცია. ქართულ მასმედიაში რეგულარულად გაშუქდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პრობლემები, მიღწევები, კულტურა და სხვა მნიშვნელოვანი თემები. ხელი შეეწყობა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს;

სპორტის რეფორმის ძირითადი პრიორიტეტებია: სპორტის შესახებ ახალი კანონის მომზადება; მოსახლეობის ყველა ფენისათვის სპორტში ჩასაბმელად ხელმისაწვდომი პირობების შექმნა; სპორტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება; უმაღლესი აკადემიური და საშუალო სპორტული განათლების, აგრეთვე სპორტის მეცნიერების განვითარება; სპორტული მედიცინის განვითარება და სპორტში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული სპორტის განვითარებას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და მათთვის სხვადასხვა სოციალური გარანტიის შეთავაზებას, აგრეთვე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებს;

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამები ასევე მიზნად ისახავს ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერას და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობას;

საგანგებო ღონისძიებები განხორციელდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, დასაცავად. სახელმწიფო ენაზე იზრუნებს სახელმწიფო, რათა გარანტირებული იყოს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა.

8.1 **ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)**

ქვეყნის პოპულარიზაციის და მისი პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების მიზნით

ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც გააღვივებს ინტერესს საქართველოს მიმართ და დაუმკვიდრებს მას სათანადო ადგილს ევროპული ცივილიზაციის ისტორიულ და მიმდინარე კონტექსტებში; სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობა, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ტრადიციების დაცვა და განვითარება; კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციისათვის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და განხორციელება; საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და ანალოგიურ ღონისძიებათა საქართველოში მოწყობა; ქვეყანაში ხელოვნების პოპულარიზაცია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში საერთაშორისო თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო- და საბალეტო ხელოვნების, წიგნის ფესტივალების, კონცერტებისა და გამოფენების მოწყობა და მათი ხელშეწყობა; შემოქმედებითი (მათ შორის, ფოლკლორული) კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სხვადასხვა ქვეყანაში გასამართ ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა; რეგიონების თეატრების ხელშეწყობა, აგრეთვე მათი სადადგმო ხარჯების დაფარვის თანადაფინანსება; კულტურის სფეროს მდგრადობისა და ფინანსური გაძლიერების უზრუნველყოფა; კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების გზების დასახვა, გადაუდებელი და ახალწარმოქმნილი პრობლემების სწრაფად გადაჭრა; სამეზობლო პოლიტიკის შემუშავება, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა მათ მიერ შექმნილი პროდუქტების კომერციალიზაციისათვის; საინვესტიციო პროექტების შერჩევა, მომზადება, განხორციელება და მონიტორინგი.

8.2 სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და რეაბილიტაცია; ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი, ქალთა და ფუტსალის ნაკრები გუნდებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა; ქართული რაგბის განვითარება და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოჩენა; ქართული კალათბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საკალათბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და რეაბილიტაცია, ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა, მათი წინსვლისათვის ხელის შეწყობა და ყოველმხრივი დახმარება; საქართველოში სპორტის განვითარება, ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, პირველობებში, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებში, საერთაშორისო ტურნირებში, სასწავლო საწვრთნელ შეკრებებში) მონაწილეობა; ფარიკაობის, ჭადრაკის, ხელბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, სახეობების მიხედვით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ეროვნული, ასაკობრივი და ქალთა ნაკრებებისათვის სათანადო პირობების შექმნა; საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდის ხელშეწყობა; ოლიმპიური თამაშებისათვის მეტი ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის ხელშეწყობა; პარაოლიმპიური სპორტის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; პარასპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება; საქართველოს რეგიონებში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარება, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დანერგვა, სპორტულ გასართობ თამაშებში საჯარო სკოლების ჩაბმა; საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა; რეგიონებში სპორტული ცხოვრების განვითარება, სპორტული ინვენტარის, ეკიპირებისა და მოწყობილობების შეძენა; ქართული სპორტის

წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია; ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი–2015“-ისთვის შესაბამისი სპორტული რეზერვის მომზადება სპორტის 9 სახეობაში.

8.3 მაუწყებლობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 42 01)

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადება და მათი გაშუქების უზრუნველყოფა.

8.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა; საქართველოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და მათი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, მათი დაცვა და პოპულარიზაცია, ინფრასტრუქტურის განვითარება, სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო ღონისძიებების განხორციელება; სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია; იუნესკოს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლების გარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

8.4.1 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

მუზეუმების ახალ ექსპოზიციათა და მოძრავ გამოფენათა მოწყობა; მუზეუმებში არსებული ექსპონატების განახლება, მუზეუმების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა, მუზეუმების ფონდების პასპორტიზაცია, ახალი გამოცემების განხორციელება, საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვა-კონსერვაცია თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით; მუზეუმებში დაცული საგანძურის დაცვის პირობების გაუმჯობესება და ტექნიკური პრობლემების გადაჭრა.

8.4.2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია; მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და მათი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის კონტროლის, პრევენციული კონსერვაციისა და რისკისათვის მზადყოფნის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა; ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შესაქმნელად კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის შევსება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია მომავალი თაობებისათვის შესანარჩუნებლად და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და იუნესკოს ვალდებულებების შესრულება; კვლევის შედეგად მიღებული ახალი მასალების, მუზეუმ-ნაკრძალების შესახებ გზამკვლევების, ქართული ხუროთმოძღვრებისა და სხვა მასალების წიგნებად, ალბომებად, კრებულებად გამოცემა; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ინვენტარიზაცია, მათი დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების

შემუშავება; ქვეყნის ფარგლების გარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

8.5 სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი (პროგრამული კოდი 45 01)

ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღსაზრდელად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაფინანსდება სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები (მათ შორის, დაფინანსდება საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაცია მაღალმთიან რეგიონებში).

8.6 ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტიანად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა; პოტენციურად მოგებიანი ბიზნესიდეების მქონე ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა; ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა; ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება; კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების სხვადასხვა მიმართულებით გაღრმავება; პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა; პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი–2015“-ის ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების სხვადასხვა მიმართულებით გაღრმავება.

8.7 კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 33 01)

კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა; კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა; საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის ხელშეწყობა, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზება; საქართველოში უცხოური კულტურის კერებისა და ფონდების შექმნა; კულტურულ ღირებულებათა დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია.

8.8 სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 39 03)

საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საწვრთნელი პროცესის წარმართვისათვის ხელის შეწყობა.

8.9 სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (პროგრამული კოდი 55 01)

საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;

საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების უზრუნველყოფა.

8.10 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა; სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაცია, ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავება და დამტკიცება, სპორტის სახეობათა, პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსების განსაზღვრა; სპორტულ ასოციაციებთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებსა და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობების განხორციელების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთა სახელმწიფო მხარდაჭერა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად განხორციელება; სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სპორტთან და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული კანონპროექტების შემუშავება; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების განვითარებისათვის საჭირო სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

9 საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია ქვეყნის საგარეო ურთიერთობების წარმატებულად წარმართვა, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური უსაფრთხოების მხარდაჭერა;

საგარეო ურთიერთობების საფუძველი იქნება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და არსებული გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინება, ევროკავშირსა და ნატოში

ინტეგრაცია;

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების დაცვას. ევროკავშირთან თანამშრომლობის ჭრილში პრიორიტეტული იქნება ასოცირების შეთანხმების წარმატებულად იმპლემენტაცია, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობაში „ოთხი თავისუფლების პრინციპის“ უფრო ფართოდ გავრცელებას;

მშვიდობის გამყარებისკენ მიმართული საგარეო პოლიტიკით საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობისათვის საიმედო და პროგნოზირებადი პარტნიორია, რაც ხელს შეუწყობს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;

საქართველო აცნობიერებს თავის მოვალეობებს იმ გამოწვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთა წინაშეც დგას მსოფლიო, და ამ მიმართულებით საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობას, კერძოდ, სამხედრო ოპერაციებში წვლილის შეტანას, განიხილავს, როგორც ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს;

დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს კონფლიქტების სრულმასშტაბიანი მოგვარების პროცესის წარმატებას;

ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც მთავარ მოკავშირესთან, ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობების თანახმად. ქარტიას საქართველო განიხილავს, როგორც საკუთარი საზოგადოების წინაშე ვალდებულებას;

საქართველო შეეცდება, საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით დაიწყოს რუსეთის ფედერაციასთან დიალოგი, რომლის მიზანიც იქნება ორმხრივ ურთიერთობებში არსებული კრიზისის ეტაპობრივი დაძლევის სტრატეგიის შემუშავება;

დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკით საქართველომ კავკასიური ინტერესების გამაერთიანებლის ფუნქცია უნდა შეიძინოს. მნიშვნელოვანია მეზობელ სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება. ტრანსნაციონალური პროექტებისათვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს შავი და კასპიის ზღვების რეგიონების და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება.

### 9.1 საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების დაცვა, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და დასახული ამოცანების შესრულება; საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპანტი

სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის უზრუნველყოფა, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება; რუსეთის ფედერაციაზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის გაძლიერებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება; რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღება; ოკუპირებული რეგიონების მიმართ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება; ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება; საქართველოს ნატოში გაწევრების პროცესის ხელშეწყობა; ევროპის ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა; ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და მისი როლის გაზრდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პროცესში, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზება; დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამის და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის – „ბისეკის“ ფორმატებში რეგიონალური და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება და კონკრეტული პროექტების განხორციელება; ქართული პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოპოვება, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება; საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, მათთვის შეღავათიანი პირობების შექმნა და მათი სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება.

### 9.1.1 საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დარჩენილ წევრ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება; საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების ქსელის გაფართოება; არსებული წარმომადგენლობების მიერ გადაფარვის არეალის გაზრდა; ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის ინტენსიფიკაცია; ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების დროებითი გამოყენება და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელება; ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია და საქართველო–ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ინტენსიფიკაცია; ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება; უელსის სამიტის შედეგად საქართველოსთვის „სპეციალური პაკეტის“ განხორციელების ხელშეწყობა; ნატოს წევრ ქვეყნებთან აქტიური პოლიტიკური კონსულტაციების წარმოება; საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების სათანადოდ წარმოჩენა; საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განსახორციელებლად ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარება და ინტენსიფიკაცია; საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის განსამტკიცებლად და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში მათი როლის გასაზრდელად; აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის რეგიონალურ და საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა მისი ცნობადობის ზრდის მიზნით; აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების ქართულ და უცხოურ ბიზნესწრეებთან საქმიანი კავშირების გაღმავების ხელშეწყობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით; მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა და ამ პროცესებში დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტიანი მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში

შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესება.

9.1.2 **საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)**

საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური წევრობა ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

9.1.3 **საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)**

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა; საქართველოში აკრედიტებულ უცხოურ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება.

9.2 **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 20 00)**

ნატო–საქართველოს კომისიის სხდომების კოორდინაცია; საქართველოს 2015 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავება, მისი განხორციელების მონიტორინგი და კოორდინაცია; თვითშეფასების დოკუმენტის მომზადება; ნატოსა და ნატო–საქართველოს ურთიერთობების შესახებ საზოგადოების ინფორმირება; ნატოსთან „არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ განხორციელებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების ხელშეწყობა; „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის“ 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია; ევროკავშირის ინიციატივების – „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ (Eastern Partnership) და „პარტნიორობა მობილურობისათვის“ (Mobility Partnership) – ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება; ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014–2017 წლების სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია; ევროკავშირის დახმარების ფარგლებში გათვალისწინებული საერთაშორისო ფინანსური შეთანხმებების მომზადება და ხელმოწერა, ევროკავშირის მიმდინარე პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანი კოორდინაცია, დახმარების მიმღები დარგობრივი უწყებების შესაძლებლობების გაზრდა ევროკავშირის დახმარების პროექტების განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით.

9.3 **დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 21 00)**

ქართული დიასპორის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მისთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და მათი პოპულარიზაცია;

ყოველწლიურად საქართველოში დიასპორის დღის აღნიშვნა და ამ დღისადმი მიძღვნილ კულტურულ ღონისძიებებში ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჩართვა;

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, საზღვარგარეთ არსებული დიასპორული ორგანიზაციების, საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების მხარდამჭერი ღონისძიებების დაფინანსება, ქართული სახლების არეალის გაფართოება;

საქართველოში და საზღვარგარეთ ბიზნეს- და სამეცნიერო ფორუმების გამართვა, ქართული კომპანიების დიასპორულ ორგანიზაციებთან დაკავშირება, უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისათვის საინვესტიციო პროექტების შეთავაზება და საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქართული დიასპორის კავშირების გამოყენება.

10 სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარების უპირველესი გარანტი მკაფიოდ განსაზღვრული აგრარული და რეგიონული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსების რამდენჯერმე გაზრდა იქნება;

სოფლის მეურნეობის დაფინანსების წყარო იქნება როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული დონორი ქვეყნების მიერ გაცემული სესხები და გრანტები, კერძო ინვესტიციები (ადგილობრივი და უცხოური). დაფინანსების სტრუქტურაში თანდათან მნიშვნელოვნად გაიზრდება კერძო ინვესტიციების წილი სხვა დაფინანსების შემცირების ხარჯზე;

იმუშავებს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი; აგრარული პოლიტიკის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში: დარეგულირდება მიწათსარგებლობის საკითხები, სოფლის მეურნეობის სექტორი მომსახურებითა და ნედლეულით იქნება უზრუნველყოფილი; მცირე და საშუალო ფერმერები ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით იქნებიან უზრუნველყოფილი; გაიზრდება აგრარულ სექტორში მწარმოებლობა, რენტაბელურობა და კონკურენტუნარიანობა; გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები; ჩამოყალიბდება აგრარული განათლებისა და მეცნიერების, კონსულტირებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემა; ქართული პროდუქცია დაბრუნდება შიგა ბაზარზე; საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს საერთაშორისო ბაზარზე; რეგიონებში ბიზნესგარემო გაჯანსაღდება და მისი სტიმულირება მოხდება; რეგიონებში გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების პირობები; უზრუნველყოფილი იქნება სასურსათო უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა და შენარჩუნდება აგრობიომრავალფეროვნება;

გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რაც უზრუნველყოფს საქართველოს შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის სტაბილურ შემოსავალს, აგრეთვე საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებას და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, უმუშევრობის შემცირებას, სიღარიბის დაძლევას და სოციალური ფონის გაუმჯობესებას, მრავალრიცხოვანი და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას. ბაზარი კონკურენტუნარიანი გახდება. ხელი შეეწყობა თავისუფალ მეწარმეობას. ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად უახლოეს წლებში დაქირავებით დასაქმებულთათვის აგროსასურსათო სექტორში რამდენიმე ათეული ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება. გაიზრდება თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა. მათი შემოსავლები მნიშვნელოვნად გადააჭარბებს საარსებო მინიმუმს.

10.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების

გათვალისწინებით;

სარწყავი და დამშრობი სისტემების, წყალსაცავების რეაბილიტაცია;

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენა;

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციისთვის ღონისძიებების განხორციელება;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა;

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა;

მცირემიწიანი ფერმერებისათვის, რომლებიც ფლობენ 1,25 ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთს, სარგებლის სახით მიწის ნაკვეთის ხვნის სერვისის ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა საქონლის (სასუქები ან/და სათესლე მასალა ან/და სასოფლო-სამეურნეო ქიმიური საშუალებები) უსასყიდლოდ მიწოდება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევაში თანამონაწილეობა.

10.1.1 **სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 37 01 01)**

აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და ეფექტიანი განხორციელება;

ქვეყანაში სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა.

10.1.2 **სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (პროგრამული კოდი 37 01 02)**

საინფორმაციო, აგროტექნოლოგიური, აგროტექნიკური, აგროსაკონსულტაციო, სასწავლო-საკვალიფიკაციო და სხვა ტიპის მომსახურების უზრუნველყოფა;

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის მდგრადი აგრარული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

10.1.3 **სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 03)**

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია; სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმებისა და მოწყობილობების შეძენა სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად; შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის" სუბსიდირება სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებებისათვის, მექანიკური სატუმბი სადგურების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებებისთვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.

10.1.4 **ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 04)**

ჩატარდება ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდება წარმომადგენლობითი, კულტურული და სარეკლამო ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას, დამატებითი პრიორიტეტული გასაღების ბაზრების მოპოვებას, ბიზნესკონტაქტების დამყარებას და საკვები პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

10.1.5 **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 05)**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინსტიტუციური განვითარების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობრივი კოეფიციენტის გაუმჯობესების, კოოპერატივების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით კოოპერატივების მეპაიეთათვის და გამგეობის/დირექტორატის წევრთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების (მენეჯმენტი, გაყიდვები და მარკეტინგი, სამართლებრივი საკითხები, საგადასახადო საქმე, ფინანსური აღრიცხვა, პროგნოზირება, ინფორმატიკა, კოოპერაციის პრინციპების იმპლემენტაცია და სხვა) ჩატარება; ტრენერთა ტრენინგების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა პროფესიონალების მომზადებას კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩასატარებლად; კოოპერატივებში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა თეორიული ცოდნის მიწოდების გზით, შემდეგი მიმართულებების შესაბამისად: ბიოწარმოება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, მცენარეთა მოვლის, მოყვანისა და სხვადასხვა კლიმატადაპტირებადი ჯიშის მონაცემებისა და პოტენციალის შესწავლა, ცხოველთა შენახვის, მოვლის (მათ შორის, ვეტერინარულ-სანიტარიული მდგომარეობის კონტროლის) და მკურნალობის ინოვაციური მეთოდებისა და ტექნოლოგიების, ცხოველთა საკვების წარმოების თანამედროვე მიდგომების დანერგვა, რესურსების მენეჯმენტი და სხვა; პილოტურ რეჟიმში კოოპერატივის საქმიანობის ადგილზე პრაქტიკული ტრენინგების ჩატარება ერთი სრული საწარმოო ციკლის განმავლობაში (კოოპერატივის თანამონაწილეობა – 20%). სტანდარტიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში კოოპერატივის შესაბამისი განცხადების განხილვის დაკმაყოფილების შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს კოოპერატივის სტანდარტიზაციის პროცესის განსახორციელებლად შესაბამისი საკონსულტაციო კომპანიის მომსახურების

ორგანიზაციულ და ფინანსურ ხელმისაწვდომობას. საკონსულტაციო კომპანიის ამოცანების წარმატებით შესრულების შემთხვევაში კოოპერატივს შესაძლებლობა მიეცემა, განახორციელოს საერთაშორისო სერტიფიკატის (ISO, HACCP ან სხვა) მიღებისათვის საჭირო ღონისძიებები; კოოპერატივის მეპაიეებისთვის ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემის მოხმარებაში სპეციალური ტრენინგების ჩატარება; ქვეყანაში გამოფენა-გაყიდვების ჩატარების ხელშეწყობა, რომლებზედაც შესაბამისი სასაქონლო სახით წარმოდგენილი იქნება კოოპერატივების მიერ წარმოებული და გადამუშავებული პროდუქცია; ე. წ. „საინფორმაციო ბანკის“ სისტემის დანერგვა, რომელიც კოოპერატივებს საშუალებას მისცემს, საკუთარი პროდუქციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ პოტენციურ შემსყიდველებს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლების გარეთ. ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების (დევნილები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სხვა) კოოპერატივებში ჩართულობის სტიმულირება.

10.1.6 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (პროგრამული კოდი 37 01 06)

სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტიანი განხორციელება.

10.1.7 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 37 01 07)

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებზე სესხები (ან ლიზინგი) გაიცემა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებიდან, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს ამ სესხების (ან ლიზინგის) საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას. თანხა მოხმარდება როგორც სააგენტოს მიერ 2013-2014 წლებში „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში გაცემულ სესხებს, ისე 2015 წელს გასაცემ სესხებსა და ლიზინგს. პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირი. სესხის (ლიზინგის) მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოებისა და გადამამუშავებელი წარმოების საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება. განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალურ პირობებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

10.1.8 მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 08)

პროექტის პოტენციური ბენეფიციარები არიან ის ფიზიკური პირები, რომლებსაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 1,25 ჰექტარის ფართობის ჩათვლით მიწის ნაკვეთი;

ბენეფიციარები სარგებლის სახით, უსასყიდლოდ მიიღებენ მათ საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ხვნის სერვისს ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელს (სასუქებს ან/და სათესლე მასალას ან/და სასოფლო-სამეურნეო ქიმიურ საშუალებებს). განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალურ პირობებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

10.1.9 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 37 01 09)

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №36 განკარგულებისა და „იაპონური გრანტის

პროგრამა 2KR-ის ფარგლებში საპარტნიორო ფონდში დეპონირებული თანხების გამოყენების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2587 განკარგულების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში 2015 წლის ვალდებულებების დაფარვა.

10.1.10 **აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 10)**

პროგრამის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება. განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევაში თანამონაწილეობა.

10.1.11 **აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარება (პროგრამული კოდი 37 01 12)**

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სამელიორაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;

სოფლის მეურნეობის სექტორში სალიზინგო სისტემის განვითარება და, შესაბამისად, სექტორში დასაქმებულ პირთათვის თანამედროვე ძირითადი საშუალებების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა; შიგა საირიგაციო ქსელების რეაბილიტაცია; კლიმატთან ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების/გადამუშავების/რეალიზაციის მთლიანი ქსელის განვითარების ხელშეწყობა; „ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტის“ განვითარების ეტაპისთვის (პირველი ეტაპი) დაპროექტებისა და კვლევების განხორციელება.

10.2 **სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 37 02)**

სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება:

სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოების ინსპექტირება, სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი და პროდუქციის ლაბორატორიული კვლევა;

თურქულის, ჯილეხის, ცოფისა და ბრუცელოზის ვაქცინაცია და ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა;

სადეზინფექციო სამუშაოების უზრუნველყოფა და ლეშების ინსენერატორის მეშვეობით გაუვნებლება;

ცხოველთა იდენტიფიკაციის/პასპორტიზაციის სისტემის ჩამოყალიბება;

ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;

საკარანტინო და მავნე ორგანიზმების გავრცელების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი;

ფერმერთა ზოგადი ინფორმირებულობის გაზრდისათვის რეკომენდაციების გამოცემა;

ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა; ყირიმ-კონგოს ცხელების გავრცელების ადგილებში ცხოველების, მათი სადგომებისა და საძოვრების ინსექტოაკარიციდული დამუშავება; სურსათის/ცხოველის საკვების და სასმელი წყლის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევა; მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტით დაავადების მაღალი რისკის ზონებში პირუტყვის ვაქცინაცია.

10.3 მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 37 03)

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების, ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისების და მომხმარებლის უხარისხო ღვინოპროდუქციისგან დაცვის მიზნით განხორციელდება:

ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და პრესტურების მოწყობა, რომელთა ფარგლებშიც ჩატარდება წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებები;

სპეციალიზებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება და გამოქვეყნება;

სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებები;

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) მასპინძლობა ბრიუსელში;

ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;

ვენახების ფართობების აღრიცხვა, რეგისტრაცია, პასპორტიზაცია, სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტება;

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწებისა და მერქნის მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით შესწავლა და წიპწების მოპოვების მიზნით წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებში თანამონაწილეობა;

ვაზის აბორიგენული ჯიშების და ველური ვაზის მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით შესწავლა;

კვლევები არქეოლოგიურ მასალაზე ღვინის ნაშთების აღმოსაჩენად;

ლიტერატურული წყაროების მოძიება, შეკრება და პუბლიკაციების მომზადება ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად;

მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით მათი სუბსიდირება.

10.4 **სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 37 04)**

საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეგიონის ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების განხორციელება; ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა; ხილისა და ბოსტნეულის შენახვისუნარიანობისა და ნედლად შენახვის ტექნოლოგიების კვლევა-შემუშავება; საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სასარგებლო-სამეურნეო მწერების ექსპედიციური კვლევა, გენეტიკური ბანკის შექმნა.

11 **სასამართლო სისტემა**

ქვეყნის დემოკრატიული და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას. პრიორიტეტი ითვალისწინებს ქვეყნის სასამართლო სისტემის რეფორმირებისა და გამართული ფუნქციონირების მხარდაჭერის ღონისძიებებს, საზოგადოების ნდობის ამაღლებას და მის ჩართულობას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარებას, რათა სასამართლო სისტემა საქართველოს ყველა მოქალაქისა თუ არარეზიდენტი პირისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ეფექტიანი იყოს;

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სასამართლო სისტემის რეფორმა, რომლის კონცეფცია გულისხმობს პოლიტიკური ხელისუფლების ზემოქმედებისაგან თავისუფალ სასამართლოს, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას და ქმედით საკონსტიტუციო კონტროლს. სასამართლო ხელისუფლების ორგანიზებასა და მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას თავად სასამართლო ხელისუფლება განახორციელებს. უზრუნველყოფილი იქნება სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. უზრუნველყოფილი იქნება ასევე სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების პროცესის სრული გამჭვირვალობა და მართლმსაჯულების მთელი პროცესის საჯაროობა.

**სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო**

11.1 (პროგრამული კოდი 46 00)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

11.2 სასამართლო სისტემა (პროგრამული კოდები 07 00–10 00)

მთელი ქვეყნის მასშტაბით სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა;

მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების ეტაპობრივად შევსება; შესაბამისად, საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება, მოსამართლედ გამწესება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ;

ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიდატებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;

საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭვირვალობისა და საჯაროობის პროცესის გაგრძელება;

მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა; საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

12 გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება სახელმწიფოს პრიორიტეტია, ვინაიდან ეს სფერო დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ზოგად განვითარებაზე. ეს ეხება როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ისე ტურიზმის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას;

პრიორიტეტის ფარგლებში შემუშავდება გარემოსდაცვითი სტანდარტები და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა. საქართველო ეტაპობრივად შეასრულებს ორმხრივი და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს. შეიქმნება გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის და გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის თანამედროვე პრინციპებზე აგებული სისტემა. მოხდება ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე დაკვირვების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია, სანიტარიული ზონების შექმნა და აღდგენა. საწვავის ხარისხი, ავტოპარკისა და საწარმოების საქმიანობა გარემოს დაცვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება;

პრიორიტეტის ფარგლებში ქვეყნის ბუნებრივი რესურსებით რაციონალურად სარგებლობის დაგეგმვისათვის განისაზღვრება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ღონისძიებათა პრიორიტეტული მიმართულებები, შემუშავდება და განხორციელდება ტყის ფონდის მართვასა და ტყით სარგებლობასთან დაკავშირებული პოლიტიკა. შემუშავდება მიწის რესურსების მდგრადი გამოყენების მექანიზმები ეროზიების შემცირების, გაუდაბნოების თავიდან აცილებისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნების მიზნით;

სახელმწიფო განაგრძობს დაცული ტერიტორიების განვითარებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებების, აგრეთვე ქვეყანაში ცხოველთა თუ მცენარეთა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების ღონისძიებების მხარდაჭერას, გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგის, პროგნოზირებისა და პრევენციის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებას;

განხორციელდება ბიომრავალფეროვნების დაცვის/შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის საჭირო მოქმედებები, დაინერგება ტყით სარგებლობის თანამედროვე მეთოდები, აიკრძალება გენმოდიფიცირებული თესლისა და სანერგე მასალის იმპორტი, შემოღებული იქნება გენმოდიფიცირებული მზა პროდუქტების სავალდებულო მარკირება, ხელი შეეწყობა ადგილობრივი კულტურული ჯიშების შენარჩუნებას, აგრეთვე ბიომეურნეობების განვითარებას, ქალაქებში მოეწყობა ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, შეიქმნება სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და მოსახლეობის დროული გაფრთხილების სისტემა, განხორციელდება შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და მდინარეების ნაპირების დაცვითი/აღდგენითი სამუშაოები, სავალდებულო გახდება გარემოსდაცვითი საკითხების ურბანული დაგეგმვისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში გათვალისწინება, ხელი შეეწყობა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

12.1 **გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)**

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის საშუალოვადიანი სტრატეგიის და განსახორციელებელ მოქმედებათა გეგმა-გრაფიკის შემუშავება და განხორციელება;

რეგულირების ობიექტების შემოწმებათა განხორციელება ყოველწლიურად დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად;

ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, გარემოს დაბინძურების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის, აგრეთვე ორგანიზაციათა მიმართვებზე, მოქალაქეთა საჩივრებსა და შეტყობინებებზე რეაგირების მიზნით არაგეგმური შემოწმებების განხორციელება;

რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების ხელშემწყობი ღონისძიებების (პროგრამების) დანერგვა, მათ შორის, ამ მიზნით ელექტრონული საინფორმაციო სისტემების დანერგვა/განვითარება;

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სფეროში თანამშრომელთა უწყვეტი სწავლება და მათი კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

**სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 04)**

ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბებისათვის სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;

ტყის რესურსების მართვის არსებული ელექტრონული სისტემის განვითარება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;

მერქნულ რესურსზე (მათ შორის, სათბობ შეშაზე) მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ტყეკაფების გამოყოფა;

ტყეების მრავალფუნქციური დანიშნულებით გამოყენების მექანიზმების შემუშავება;

12.2

ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;

ტყეების ეფექტიანად მართვისა და ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

ტყის ფონდის ფუნქციონალური ზონირებისა და ტყის ინვენტარიზაციის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის შექმნა;

სახელმწიფო ტყის ფონდის დარეგისტრირებით ტყის ფონდის ტერიტორიების დაზუსტება, რითაც თავიდან იქნება აცილებული ტყის ფონდის ფრაგმენტაცია და ტყის ფართობების შემცირება.

12.3 **დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)**

დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის;

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;

უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა მათი შენარჩუნებისათვის;

დაცულ ტერიტორიებზე პათოლოგიური კვლევების ჩატარება, დაზიანებული ფართობების დადგენა და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით შესაბამისი პრეპარატების შეძენა;

დაცული ტერიტორიებისათვის ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე ახალი ტურისტული სერვისების დანერგვა, რომლებიც შეესაბამება ეკოტურიზმის პრინციპებს;

ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის გაზრდისათვის;

ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღსადგენად და შესანარჩუნებლად.

12.4 **გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)**

გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; ნარჩენების, ქიმიური ნივთიერებების, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ბიომრავალფეროვნების სახელმწიფო მართვა; მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა; გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაგეგმილი საქმიანობების შესწავლა (პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება) და გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმათა გათვალისწინებით დასაბუთებული საექსპერტო დასკვნების მომზადება; ბიომრავალფეროვნების მუდმივი მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ცხოველთა, მათ შორის, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების, აღრიცხვა და მათი მდგომარეობის შეფასება; საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარება, სახელმწიფო, არასამთავრობო, ბიზნეს- და საერთაშორისო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება; დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

12.5 **სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)**

მაღალი ხარისხის სარგავი მასალის (ნერგები) გამოყვანა ტყისა და ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განაშენიანებისათვის, მუნიციპალიტეტებისა და ქალაქგამწვანების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; ტყის ჯიშთა სარგავი მასალის გამოყვანისათვის ტრადიციული მეთოდის (ღია გრუნტში) და კონტეინერული მეთოდის (სასათბურე მეურნეობაში) გამოყენება; გამოყვანილი ნერგების სახეობების ზრდა; ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობებისა და მაგისტრალური მილსადენების დაცვის ზონების უსაფრთხო ფუნქციონირების ფარგლებში საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების გარემოდან ამოღებით (ჭრით) გარემოსთვის მიყენებული ზიანის შესარბილებლად მათი დაცვა-აღდგენის ხელშეწყობა.

**გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 06)**

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით;

12.6 „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ – საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაციის უზრუნველყოფა;

სხვადასხვა კამპანიის ორგანიზებით საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;

შესაბამისი სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების უზრუნველყოფა; მონაცემების სისტემატიზაციის, მათი ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით გარემოსდაცვით მონაცემთა სისტემის შექმნა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ანალიტიკური ანგარიშების მომზადებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მიწოდების მოქნილი მექანიზმის შექმნის უზრუნველყოფა.

## თავი VI

## საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

### მუხლი 15. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| კოდი | დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის გეგმა | 2015 წლის გეგმა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | საბიუჯეტო სახსრები | გრანტი | კრედიტი |
| **00 00** | **სულ ჯამი** | **8,104,217.6** | **9,080,000.0** | **9,575,000.0** | **8,785,000.0** | **100,000.0** | **690,000.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **109,685** | **111,337** | **116,442** | 116,442 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 6,545,615.2 | 7,539,613.4 | 8,005,443.2 | 7,715,123.2 | 81,960.0 | 208,360.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,187,569.5 | 1,318,303.6 | 1,407,933.4 | 1,407,483.4 | 450.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 767,632.2 | 734,125.3 | 853,243.8 | 518,813.8 | 16,140.0 | 318,290.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 277,105.1 | 208,180.0 | 297,090.0 | 131,840.0 | 1,900.0 | 163,350.0 |
| | ვალდებულებების კლება | 513,865.1 | 598,081.3 | 419,223.0 | 419,223.0 | 0.0 | 0.0 |
| **01 00** | **საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები** | **58,356.9** | **59,531.7** | **60,531.7** | **60,531.7** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **1,391** | **1,331** | **1,331** | 1,331 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 43,079.5 | 52,354.1 | 52,349.1 | 52,349.1 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 27,783.7 | 33,180.4 | 33,180.4 | 33,180.4 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15,266.3 | 7,177.6 | 8,182.6 | 8,182.6 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ვალდებულებების კლება | 11.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 01 | **საკანონმდებლო საქმიანობა** | **52,462.8** | **52,091.0** | **52,091.0** | **52,091.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **900** | **840** | **840** | 840 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 37,404.1 | 45,568.4 | 45,568.4 | 45,568.4 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 23,161.1 | 27,604.4 | 27,604.4 | 27,604.4 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15,047.6 | 6,522.6 | 6,522.6 | 6,522.6 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 11.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 02 | **საბიბლიოთეკო საქმიანობა** | **5,497.6** | **6,990.7** | **7,990.7** | **7,990.7** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **476** | **476** | **476** | 476 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 5,283.8 | 6,340.7 | 6,340.7 | 6,340.7 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 4,336.6 | 5,290.0 | 5,290.0 | 5,290.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 213.8 | 650.0 | 1,650.0 | 1,650.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 03 | **ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება** | **396.6** | **450.0** | **450.0** | **450.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **15** | **15** | **15** | 15 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 391.6 | 445.0 | 440.0 | 440.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 286.0 | 286.0 | 286.0 | 286.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.9 | 5.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 00 | **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია** | **15,566.6** | **9,000.0** | **9,800.0** | **9,800.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **162** | **162** | **150** | 150 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 15,413.4 | 8,900.0 | 9,700.0 | 9,700.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 4,387.3 | 3,235.0 | 4,000.0 | 4,000.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 135.4 | 100.0 | 100.0 | 100.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 17.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 00 | **საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი** | **1,749.1** | **2,000.0** | **2,000.0** | **2,000.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **38** | **38** | **38** | 38 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 1,676.8 | 1,980.0 | 1,960.0 | 1,960.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,158.3 | 1,179.0 | 1,179.0 | 1,179.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 72.2 | 20.0 | 40.0 | 40.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 00 | **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია** | **11,136.7** | **20,000.0** | **32,500.0** | **32,500.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **149** | **200** | **352** | 352 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 10,504.1 | 11,760.0 | 28,277.0 | 28,277.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 4,502.9 | 6,500.0 | 13,915.0 | 13,915.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 632.6 | 8,240.0 | 4,223.0 | 4,223.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 00 | **სახელმწიფო აუდიტის სამსახური** | **10,094.3** | **12,250.0** | **12,863.0** | **12,863.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **350** | **350** | **350** | 350 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 9,026.5 | 11,750.0 | 12,363.0 | 12,363.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 5,949.9 | 8,895.0 | 9,508.0 | 9,508.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,067.6 | 500.0 | 500.0 | 500.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 00 | **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია** | **51,972.6** | **54,500.0** | **22,500.0** | **22,500.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **467** | **467** | **469** | 469 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 51,720.7 | 54,017.0 | 22,378.0 | 22,378.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 26,306.7 | 23,479.0 | 6,905.0 | 6,905.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 251.6 | 483.0 | 122.0 | 122.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ვალდებულებების კლება | 0.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 01** | **საარჩევნო გარემოს განვითარება** | **6,903.9** | **6,770.2** | **8,992.0** | **8,992.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **452** | **452** | **454** | 454 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 6,890.2 | 6,755.2 | 8,888.0 | 8,888.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 5,248.8 | 5,285.0 | 6,569.0 | 6,569.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 13.7 | 15.0 | 104.0 | 104.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 02** | **არჩევნების ჩატარების ღონისძიებები** | **31,170.4** | **28,000.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 30,942.7 | 27,560.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 20,583.5 | 17,879.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 227.4 | 440.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 03** | **საარჩევნო ინსტიტუციის განვითარებისა და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა** | **855.3** | **650.0** | **723.0** | **723.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **15** | **15** | **15** | 15 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 844.8 | 622.0 | 705.0 | 705.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 474.4 | 314.5 | 336.0 | 336.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10.5 | 28.0 | 18.0 | 18.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 04** | **პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება** | **13,043.0** | **19,079.8** | **12,785.0** | **12,785.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 13,043.0 | 19,079.8 | 12,785.0 | 12,785.0 | 0.0 | 0.0 |
| **07 00** | **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო** | **2,559.5** | **3,315.0** | **3,390.0** | **3,390.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **109** | **109** | **99** | 99 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 2,420.5 | 3,165.0 | 3,290.0 | 3,290.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,938.6 | 2,562.0 | 2,562.0 | 2,562.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 138.9 | 150.0 | 100.0 | 100.0 | 0.0 | 0.0 |
| 08 00 | **საქართველოს უზენაესი სასამართლო** | **5,224.0** | **6,615.0** | **6,615.0** | **6,615.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **174** | **174** | **148** | 148 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 4,980.8 | 6,338.0 | 6,380.0 | 6,380.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 3,705.6 | 4,790.0 | 4,790.0 | 4,790.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 243.2 | 277.0 | 235.0 | 235.0 | 0.0 | 0.0 |
| 09 00 | **საერთო სასამართლოები** | **37,322.2** | **47,425.0** | **50,000.0** | **50,000.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **1,660** | **1,660** | **1,752** | 1,752 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 30,699.7 | 46,424.0 | 49,496.0 | 49,496.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 22,924.1 | 37,276.0 | 39,543.0 | 39,543.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6,622.5 | 1,001.0 | 504.0 | 504.0 | 0.0 | 0.0 |
| 09 01 | **საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა** | **36,533.8** | **46,210.0** | **48,685.0** | **48,685.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **1,639** | **1,622** | **1,714** | 1,714 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 30,003.2 | 45,219.0 | 48,190.0 | 48,190.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 22,613.0 | 36,636.0 | 38,894.0 | 38,894.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6,530.6 | 991.0 | 495.0 | 495.0 | 0.0 | 0.0 |
| 09 02 | **მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება** | **788.4** | **1,215.0** | **1,315.0** | **1,315.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **21** | **38** | **38** | 38 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 696.5 | 1,205.0 | 1,306.0 | 1,306.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 311.1 | 640.0 | 649.0 | 649.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 92.0 | 10.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 | 0.0 |
| 10 00 | **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო** | **1,473.0** | **2,495.0** | **2,700.0** | **2,700.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **61** | **73** | **80** | 80 | 0 | 0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | ხარჯები | 1,183.1 | 2,373.0 | 2,579.0 | 2,579.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 996.0 | 1,920.0 | 2,126.0 | 2,126.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 289.8 | 122.0 | 121.0 | 121.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 11 00 | **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში** | **1,176.9** | **900.0** | **900.0** | **900.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **53** | **53** | **33** | 33 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 1,176.9 | 897.0 | 872.0 | 872.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 579.8 | 561.0 | 577.0 | 577.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 3.0 | 28.0 | 28.0 | 0.0 | 0.0 |
| 12 00 | **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში** | **635.2** | **650.0** | **700.0** | **700.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **46** | **46** | **32** | 32 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 635.2 | 636.0 | 670.0 | 670.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 513.3 | 504.0 | 498.0 | 498.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 14.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 0.0 |
| 13 00 | **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში** | **834.1** | **800.0** | **800.0** | **800.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **53** | **53** | **33** | 33 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 834.1 | 793.0 | 790.0 | 790.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 582.1 | 562.0 | 548.0 | 548.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 7.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 00 | **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში** | **796.1** | **800.0** | **800.0** | **800.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **53** | **53** | **33** | 33 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 781.2 | 800.0 | 800.0 | 800.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 543.6 | 561.0 | 550.0 | 550.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 14.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 15 00 | **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში** | **628.6** | **650.0** | **650.0** | **650.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **46** | **46** | **32** | 32 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 628.6 | 647.0 | 647.0 | 647.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 512.9 | 504.0 | 481.0 | 481.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 | 0.0 |
| 16 00 | **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში** | **691.0** | **650.0** | **650.0** | **650.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **46** | **46** | **32** | 32 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 691.0 | 650.0 | 640.0 | 640.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 511.3 | 504.0 | 493.0 | 493.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 0.0 |
| 17 00 | **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში** | **604.6** | **650.0** | **650.0** | **650.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **46** | **46** | **32** | 32 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 604.6 | 644.0 | 638.0 | 638.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 496.2 | 504.0 | 483.0 | 483.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 6.0 | 12.0 | 12.0 | 0.0 | 0.0 |
| **18 00** | **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში** | **761.3** | **800.0** | **1,000.0** | **1,000.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **53** | **53** | **33** | 33 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 760.2 | 800.0 | 963.0 | 963.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 591.2 | 584.0 | 577.0 | 577.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 37.0 | 37.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 1.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **19 00** | **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში** | **711.5** | **700.0** | **700.0** | **700.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **47** | **47** | **33** | 33 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 711.5 | 697.0 | 695.0 | 695.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 519.4 | 534.0 | 530.0 | 530.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 3.0 | 5.0 | 5.0 | 0.0 | 0.0 |
| **20 00** | **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** | **4,210.4** | **2,800.0** | **3,100.0** | **3,100.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **53** | **53** | **53** | 53 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 4,200.7 | 2,770.0 | 3,080.0 | 3,080.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,235.3 | 1,566.0 | 1,566.0 | 1,566.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9.7 | 30.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 0.0 |
| **21 00** | **დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** | **1,344.3** | **900.0** | **1,200.0** | **1,200.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **20** | **20** | **20** | 20 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 1,335.1 | 880.0 | 1,180.0 | 1,180.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 525.4 | 484.0 | 532.0 | 532.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9.2 | 20.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 0.0 |
| **22 00** | **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** | **1,283.2** | **1,350.0** | **1,350.0** | **1,350.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **30** | **30** | **30** | 30 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 1,242.8 | 1,312.0 | 1,330.0 | 1,330.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 735.9 | 756.0 | 757.0 | 757.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 40.4 | 38.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 0.0 |
| **23 00** | **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** | **95,922.5** | **96,000.0** | **100,000.0** | **100,000.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **4,475** | **4,789** | **4,785** | 4,785 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 85,158.2 | 86,242.0 | 92,641.0 | 92,641.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 68,368.7 | 70,193.0 | 70,166.0 | 70,166.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,647.2 | 9,758.0 | 7,359.0 | 7,359.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 117.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **23 01** | **სახელმწიფო ფინანსების მართვა** | **21,122.5** | **27,779.0** | **29,935.0** | **29,935.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **426** | **426** | **426** | 426 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 18,151.0 | 20,685.0 | 23,881.0 | 23,881.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 9,933.5 | 9,773.0 | 9,773.0 | 9,773.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,854.8 | 7,094.0 | 6,054.0 | 6,054.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 116.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **23 02** | **შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება** | **49,039.0** | **43,000.0** | **44,144.0** | **44,144.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **3,268** | **3,568** | **3,568** | 3,568 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 44,414.4 | 43,000.0 | 44,144.0 | 44,144.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
| **58 04** | **ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები** | **1,068,455.5** | **795,900.0** | **854,800.0** | **854,800.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 1,068,455.5 | 795,900.0 | 854,800.0 | 854,800.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 04 01** | **ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გადასაცემი ტრანსფერები** | **29,656.8** | **8,500.0** | **9,000.0** | **9,000.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 29,656.8 | 8,500.0 | 9,000.0 | 9,000.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 04 01 01** | **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადასაცემი ტრანსფერი** | **8,510.0** | **8,500.0** | **9,000.0** | **9,000.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 8,510.0 | 8,500.0 | 9,000.0 | 9,000.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 04 01 02** | **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადასაცემი ტრანსფერი** | **21,146.8** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 21,146.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 04 02** | **თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები** | **1,038,798.8** | **787,400.0** | **845,800.0** | **845,800.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 1,038,798.8 | 787,400.0 | 845,800.0 | 845,800.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 05** | **საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი** | **0.0** | **5,000.0** | **5,000.0** | **5,000.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 5,000.0 | 5,000.0 | 5,000.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 06** | **საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი** | **0.0** | **50,000.0** | **50,000.0** | **50,000.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 50,000.0 | 50,000.0 | 50,000.0 | 0.0 | 0.0 |
| | **წინა წლებში წარმოქმნილი** | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 58 07 | დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 7,895.8 | 20,000.0 | 20,000.0 | 20,000.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 7,895.8 | 20,000.0 | 20,000.0 | 20,000.0 | 0.0 | 0.0 |
| 58 07 01 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 7,765.8 | 20,000.0 | 20,000.0 | 20,000.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 7,765.8 | 20,000.0 | 20,000.0 | 20,000.0 | 0.0 | 0.0 |
| 58 07 02 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | 130.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 130.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 58 08 | საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 0.0 | 250,000.0 | 300,000.0 | 300,000.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 250,000.0 | 300,000.0 | 300,000.0 | 0.0 | 0.0 |
| 58 09 | საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა | 1,248.2 | 750.0 | 500.0 | 500.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1,248.2 | 750.0 | 500.0 | 500.0 | 0.0 | 0.0 |
| 58 10 | დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები | 21,636.3 | 29,108.3 | 34,520.3 | 1,620.3 | 12,900.0 | 20,000.0 |
| | ხარჯები | 12,818.9 | 12,120.3 | 14,512.3 | 1,612.3 | 12,900.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 8,807.9 | 16,980.0 | 20,000.0 | 0.0 | 0.0 | 20,000.0 |
| | ვალდებულებების კლება | 9.5 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 0.0 | 0.0 |
| 58 10 01 | ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისი პროექტები (GIZ) | 15.6 | 20.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 6.9 | 13.0 | 13.0 | 13.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 8.7 | 7.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 | 0.0 |
| 58 10 02 | KfW-ის ადგილობრივი ოფისის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება (KfW) | 17.9 | 20.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 17.1 | 19.0 | 19.0 | 19.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ვალდებულებების კლება | 0.8 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 10 03** | **აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD)** | **0.0** | **2,548.4** | **5,000.0** | **0.0** | **0.0** | **5,000.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 300.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 2,248.4 | 5,000.0 | 0.0 | 0.0 | 5,000.0 |
| **58 10 04** | **ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (III ფაზა) (KfW, EU)** | **3,254.7** | **19,319.9** | **29,280.3** | **1,380.3** | **12,900.0** | **15,000.0** |
| | ხარჯები | 1,432.8 | 10,188.3 | 14,280.3 | 1,380.3 | 12,900.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 1,821.9 | 9,131.6 | 15,000.0 | 0.0 | 0.0 | 15,000.0 |
| **58 10 05** | **განახლებადი ენერგიის პროგრამა II (KfW)** | **0.0** | **0.0** | **200.0** | **200.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 200.0 | 200.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 10 06** | **ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (II ფაზა) (KfW)** | **4,426.4** | **3,900.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 300.3 | 1,200.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 4,126.1 | 2,700.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 10 07** | **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (KfW)** | **1,366.8** | **3,300.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 400.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 1,366.8 | 2,900.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 10 08** | **ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (I ფაზა) (KfW)** | **2,156.8** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 663.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 1,493.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 10 09** | **გოდერძის ხეობაში სათხილამურო საბაგიროების მოწყობა (Unicredit Bank)** | **9,951.1** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 9,951.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 10 10** | **რუსთავის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD)** | **447.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 447.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **58 11** | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | **0.0** | **50,000.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | ხარჯები | 0.0 | 50,000.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **59 00** | **სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო** | **679.9** | **680.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **59** | **59** | **0** | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 679.9 | 680.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 625.9 | 626.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **60 00** | **ა(ა)იპ – რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი** | **550.7** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | **14** | **0** | **0** | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 550.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 206.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

შენიშვნა: საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ნორმები იძლევა შესაძლებლობას, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის მიმდინარე ხარჯების დაფარვის მიზნით გამოყოფილი ასიგნებები გათვალისწინებულ იქნეს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „სუბსიდიის" მუხლში. საჯარო სამართლის იურიდიული პირების დიდი ნაწილისათვის აღნიშნული მუხლი გამოიყენებოდა; შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში მათი დაფინანსება მხოლოდ სუბსიდირებით იყო წარმოდგენილი და არ იყო ასახული მათში მომუშავეთა რიცხოვნობა და შრომის ანაზღაურება. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში ყოველწლიურად უმჯობესდება საჯარო ფინანსების აღრიცხვის მექანიზმები. ამიტომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 2015 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების გადასახდელების საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლების მიხედვით დაგეგმვა და მათ მიერ დასაქმებულთა შესახებ მონაცემების სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მომუშავეთა რიცხოვნობა 7 048 ერთეულითაა განსაზღვრული (2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროსთვის დამტკიცებული მომუშავეთა რიცხოვნობა 441 ერთეულს შეადგენდა), ხოლო „შრომის ანაზღაურების" მუხლში 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ოდენობა 54.4 მლნ ლარია (2014 წელს ეს ოდენობა 5,5 მლნ ლარი იყო), თუმცა, ამავე დროს, სამინისტროსთვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში „სუბსიდიის" მუხლით თანხა გათვალისწინებული აღარ არის (2014 წელს ეს თანხა 53.1 მლნ ლარს შეადგენდა).

საშტატო ერთეულები გათვალისწინებულია ახალშექმნილი ორგანიზაციებისთვისაც, მათ შორის, 4 900-ზე მეტი თანამშრომელი ემატება სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს.

## თავი VII

## ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის

## გადასაცემი ტრანსფერები

**მუხლი 16. ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები**

განისაზღვროს ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები 854 800.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების დასახელება | სულ ტრანსფერი | გათანაბრებითი ტრანსფერი | მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | სპეციალური ტრანსფერი |
|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა | 9,000.0 | | | 9,000.0 |
| ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი | 412,682.2 | 412,282.2 | 400.0 | |
| აჭარის მუნიციპალიტეტი | 1,019.4 | 1,004.4 | 15.0 | |
| ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი | 52,542.3 | 52,542.3 | | |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 7,198.7 | 7,198.7 | | |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 9,226.9 | 9,226.9 | | |
| ქედის მუნიციპალიტეტი | 3,661.0 | 3,661.0 | | |
| შუახევის მუნიციპალიტეტი | 4,232.7 | 4,232.7 | | |
| ხულოს მუნიციპალიტეტი | 6,323.5 | 6,323.5 | | |
| ახმეტის მუნიციპალიტეტი | 5,223.9 | 5,093.9 | 130.0 | |
| გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 7,145.4 | 6,985.4 | 160.0 | |
| დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი | 1,925.5 | 1,740.5 | 185.0 | |
| ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი | 7,223.7 | 7,061.7 | 162.0 | |
| თელავის მუნიციპალიტეტი | 4,118.8 | 3,994.8 | 124.0 | |
| ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 5,786.1 | 5,576.1 | 210.0 | |
| საგარეჯოს მუნიციპალიტეტი | 3,812.0 | 3,602.0 | 210.0 | |
| სიღნაღის მუნიციპალიტეტი | 3,158.0 | 3,013.0 | 145.0 | |
| ყვარლის მუნიციპალიტეტი | 3,873.3 | 3,738.3 | 135.0 | |
| ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი | 32,118.0 | 31,898.0 | 220.0 | |
| ჭიათურის მუნიციპალიტეტი | 7,549.8 | 7,317.8 | 232.0 | |
| ტყიბულის მუნიციპალიტეტი | 3,007.5 | 2,867.5 | 140.0 | |
| წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 6,543.8 | 6,387.8 | 156.0 | |
| ბაღდათის მუნიციპალიტეტი | 3,811.2 | 3,683.2 | 128.0 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვანის მუნიციპალიტეტი | 5,727.2 | 5,577.2 | 150.0 | |
| ზესტაფონის მუნიციპალიტეტი | 6,789.5 | 6,549.5 | 240.0 | |
| თერჯოლის მუნიციპალიტეტი | 6,686.2 | 6,534.2 | 152.0 | |
| სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 6,385.1 | 6,196.1 | 189.0 | |
| საჩხერის მუნიციპალიტეტი | 6,644.4 | 6,454.4 | 190.0 | |
| ხარაგაულის მუნიციპალიტეტი | 4,444.1 | 4,306.1 | 138.0 | |
| ხონის მუნიციპალიტეტი | 5,648.3 | 5,490.3 | 158.0 | |
| ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი | 4,376.8 | 4,116.8 | 260.0 | |
| ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | 11,824.9 | 11,729.9 | 95.0 | |
| ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | 11,685.5 | 11,455.5 | 230.0 | |
| აბაშის მუნიციპალიტეტი | 5,134.7 | 4,987.7 | 147.0 | |
| მარტვილის მუნიციპალიტეტი | 5,485.5 | 5,322.5 | 163.0 | |
| მესტიის მუნიციპალიტეტი | 3,222.3 | 3,097.3 | 125.0 | |
| სენაკის მუნიციპალიტეტი | 5,097.8 | 4,902.8 | 195.0 | |
| ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი | 4,426.2 | 4,264.2 | 162.0 | |
| წალენჯიხის მუნიციპალიტეტი | 4,646.7 | 4,468.7 | 178.0 | |
| ხობის მუნიციპალიტეტი | 1,771.8 | 1,551.8 | 220.0 | |
| ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი | 10,156.7 | 9,946.7 | 210.0 | |
| გორის მუნიციპალიტეტი | 9,650.1 | 9,544.1 | 106.0 | |
| ქურთის მუნიციპალიტეტი | 1,995.1 | 1,915.1 | 80.0 | |
| ერედვის მუნიციპალიტეტი | 1,777.0 | 1,742.0 | 35.0 | |
| კასპის მუნიციპალიტეტი | 4,585.0 | 4,408.0 | 177.0 | |
| ქარელის მუნიციპალიტეტი | 6,390.0 | 6,177.0 | 213.0 | |
| თიღვის მუნიციპალიტეტი | 1,295.9 | 1,285.9 | 10.0 | |
| ხაშურის მუნიციპალიტეტი | 6,475.7 | 6,246.7 | 229.0 | |
| ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი | 16,633.8 | 16,133.8 | 500.0 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბოლნისის მუნიციპალიტეტი | 305.0 | 0.0 | 305.0 | |
| გარდაბნის მუნიციპალიტეტი | 4,001.4 | 3,741.4 | 260.0 | |
| დმანისის მუნიციპალიტეტი | 1,770.3 | 1,655.3 | 115.0 | |
| თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი | 4,225.0 | 4,008.0 | 217.0 | |
| მარნეულის მუნიციპალიტეტი | 9,164.5 | 8,914.5 | 250.0 | |
| წალკის მუნიციპალიტეტი | 2,093.2 | 1,984.2 | 109.0 | |
| ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი | 6,101.1 | 5,881.1 | 220.0 | |
| ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | 6,338.1 | 6,252.1 | 86.0 | |
| ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | 5,445.5 | 5,271.5 | 174.0 | |
| ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 3,313.4 | 3,130.4 | 183.0 | |
| ადიგენის მუნიციპალიტეტი | 3,097.9 | 2,960.9 | 137.0 | |
| ასპინძის მუნიციპალიტეტი | 2,242.4 | 2,116.4 | 126.0 | |
| ახალქალაქის მუნიციპალიტეტი | 6,547.7 | 6,332.7 | 215.0 | |
| ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი | 5,470.2 | 5,303.2 | 167.0 | |
| ახალციხის მუნიციპალიტეტი | 3,132.6 | 3,033.6 | 99.0 | |
| ბორჯომის მუნიციპალიტეტი | 190.0 | 0.0 | 190.0 | |
| ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი | 3,348.4 | 3,183.4 | 165.0 | |
| ახალგორის მუნიციპალიტეტი | 2,034.0 | 1,944.0 | 90.0 | |
| დუშეთის მუნიციპალიტეტი | 3,755.0 | 3,645.0 | 110.0 | |
| თიანეთის მუნიციპალიტეტი | 3,037.5 | 2,901.5 | 136.0 | |
| ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტი | 1,779.2 | 1,737.2 | 42.0 | |
| მცხეთის მუნიციპალიტეტი | 280.0 | 0.0 | 280.0 | |
| ყაზბეგის მუნიციპალიტეტი | 803.1 | 718.1 | 85.0 | |
| ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი | 3,660.3 | 3,579.3 | 81.0 | |
| ამბროლაურის მუნიციპალიტეტი | 2,688.0 | 2,633.0 | 55.0 | |
| ლენტეხის მუნიციპალიტეტი | 2,743.6 | 2,638.6 | 105.0 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ონის მუნიციპალიტეტი | 2,852.8 | 2,749.8 | 103.0 | |
| ცაგერის მუნიციპალიტეტი | 4,239.8 | 4,081.8 | 158.0 | |
| სულ საქართველო | 854,800.0 | 834,233.0 | 11,567.0 | 9,000.0 |

შენიშვნა: დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება.

## თავი VIII

## მარეგულირებელი ნორმები

### მუხლი 17. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების განკარგვა

ამ კანონით დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების – „58 01 – საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „58 02 – საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „58 03 – საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები“, „58 04 – ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები“, „58 09 – საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა“ და „58 10 – დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები“ – საბიუჯეტო სახსრების განკარგვა განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

### მუხლი 18. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი 50 000.0 ათასი ლარის ოდენობით და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მათი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 300 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში განისაზღვროს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ 50 000.0 ათასი ლარის ოდენობით და ამ თანხის განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

4. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის“ გათვალისწინებული ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი თანხა ან მისი ნაწილი, შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული სოფლის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

5. განისაზღვროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის მოცულობა 20 000.0 ათასი ლარით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იძულებით ჩამოჭრილი თანხები ასახოს წინა

წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდით გათვალისწინებულ ასიგნებებში.

6. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ან/და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე წინადადებებს საბიუჯეტო ორგანიზაციების, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ან საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**მუხლი 19. დავალიანებების დაფარვა**

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2015 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

**მუხლი 20. სახელმწიფო ვალი**

1. სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 560 000.0 ათასი ლარი:

ა) ძირითადი თანხის დაფარვა – 355 000.0 ათასი ლარი, მათ შორის:

ა.ა) ორმხრივი კრედიტებისათვის – 98 000.0 ათასი ლარი;

ა.ბ) მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 257 000.0 ათასი ლარი;

ბ) პროცენტის გადახდა – 205 000 ათასი ლარი, მათ შორის:

ბ.ა) ორმხრივი კრედიტებისათვის – 70 000.0 ათასი ლარი;

ბ.ბ) მრავალმხრივი კრედიტებისათვის –74 000.0 ათასი ლარი;

ბ.გ) სახელმწიფოს მიერ საგარეო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებების მომსახურებისათვის – 61 000.0 ათასი ლარი.

2. უფლება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამ კანონით საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, კრედიტორი ქვეყნის მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით განახორციელოს საქართველოს იურიდიული პირებისათვის აღნიშნული სახსრებიდან თანხების ანაზღაურება ან შესაბამისი პროგრამების დაფინანსება ამ იურიდიული პირების მიერ კრედიტორი ქვეყნისათვის საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისათვის და მომსახურების გაწევისათვის.

3. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასახდელი პროცენტის მოცულობა განისაზღვროს 39 400.8 ათასი ლარით (დაზუსტდება საქართველოს მთვრობასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე), ხოლო დასაფარავი ძირითადი თანხის მოცულობა – 35 000.0 ათასი ლარით.

4. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 15 მარტს გამოშვებული 440 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 400 846.0 ათასი ლარის ოდენობით და 40 000.0 ათასი ლარის ფასიანი ქაღალდების გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის.

5. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს არაუმეტეს 600 000.0 ათასი ლარის წმინდა ზრდით. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვება განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების დაფარვის აღრიცხვა განახორციელოს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი მუხლის შემცირებით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული 600 000.0 ათასი ლარიდან არაუმეტეს 200 000.0 ათასი ლარისა გამოყენებულ იქნეს ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის.

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის წესი.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების ნაცვლად გამოიყენოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთი. ამასთანავე, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრების წმინდა მოცულობა და მათი გამოშვების ნაცვლად ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 600 000.0 ათას ლარს.

**მუხლი 21. თანამდებობრივი სარგოები, პრემიები, დანამატები და დახმარებები**

1. უფლება მიეცეთ საქართველოს მინისტრებსა და სახელმწიფო მინისტრებს, მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები განსაზღვრონ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებს განსაზღვრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას საჭიროებს აგრეთვე ცვლილებები დამტკიცებულ საშტატო ნუსხებსა და თანამდებობრივ სარგოებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განხორციელებული ცვლილებების შედეგად უცვლელი რჩება საშტატო რიცხოვნობა, თანამდებობათა დასახელებები და თანამდებობრივი სარგოები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას არ საჭიროებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრების აპარატებისა და საქართველოს სამინისტროებისა და მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები, რომლებიც მოქმედებდა ამ კანონის ამოქმედებამდე.

4. 2015 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე პრემიები, დანამატები და დახმარებები გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ამასთანავე, 2015 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან, გაზარდონ მათთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არაუმეტეს იმავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მხარჯავ დაწესებულებებს უფლება აქვთ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულება გაავრცელონ მხოლოდ იმ მოსამსახურეებზე, რომლებზედაც 2006 წლის 1 იანვრამდე ვრცელდებოდა აღნიშნული მუხლის მოქმედება.

**მუხლი 22. შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა, მათი შრომის ანაზღაურება და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება**

1. საბიუჯეტო ორგანიზაციებში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საშტატო რიცხოვნობის 2%-ს. იმ ორგანიზაციებში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 2% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს.

2. შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო შრომის ანაზღაურებას.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს 1 500 ლარს.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოებისათვის წლის განმავლობაში გაწეული საკასო ხარჯის 20%-ს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და თვითმმართველ ერთეულებზე, იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – საზოგადოებრივ მაუწყებელზე, საჯარო სკოლებზე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, აგრეთვე იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომელთა საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული დაფინანსება არ აღემატება მათი საერთო შემოსულობების 25%-ს.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამონაკლისი ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე შეთანხმებას არ საჭიროებს, თუ იგი არ აღემატება გამონაკლისის იმ შეთანხმებულ ოდენობას, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის დაშვებული იყო/საბიუჯეტო ორგანიზაციაზე ვრცელდებოდა 2014 წლის განმავლობაში.

**მუხლი 23. შეზღუდვები საქართველოს სამინისტროების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯის გაწევაზე**

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეაჩეროს საქართველოს სამინისტროებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში გადახდის განხორციელება საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდებისა და მუხლების მიხედვით.

2. საქართველოს სამინისტროებმა ყოველი კვარტალის დასრულებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ კანონით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიისა და ამ ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას წარუდგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია იმავე პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის ან მისი ნაწილის მიმართვა ამ კანონით გათვალისწინებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 24. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შემოსულობათა ხარჯვა**

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების ხარჯვა განხორციელდეს ადგილზე, შესაბამისი წარმომადგენლობისა და დაწესებულებისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 25. საქართველოს პარლამენტის მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება**

უფლება მიეცეს საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ამ კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში დააფინანსოს დაკრძალვასთან და სასაფლაოს მოწყობასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება.

**მუხლი 26. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება**

1. უფლება მიეცეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, 2014 წელს „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებებით შესრულებული სამუშაოების დაფინანსება, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, განახორციელოს ამ კანონით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევაში და დაწესებული ლიმიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების (ერთეულების) მიერ შესასყიდ საქონელზე, სამუშაოსა და მომსახურებაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის იმავე აქტით განსაზღვრული სტრუქტურული ქვედანაყოფები (ერთეულები) ითვლებიან შემსყიდველ ორგანიზაციებად და ეკისრებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

**მუხლი 27. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართობის (სადაც დევნილი სახელმწიფოს მიერ იქნა განსახლებული და რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული იყო, როგორც დევნილთა კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ობიექტი, ასევე სადაც სამინისტრო ახორციელებდა ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების (მათ შორის, ობიექტებში განსახლებულ დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა მიერ მოხმარებული წყლის, ნარჩენების გატანის, ასენიზაციისა და დეზინფექცია-დერატიზაციის, განსახლების ობიექტებში მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთების სხვა ხარჯები) ანაზღაურებას) ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება ერთ დევნილზე განისაზღვროს თვეში 2 ლარით. აღნიშნული დაფინანსება განხორციელდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად. ხელშეკრულების პირობებს და მის გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციას ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

**მუხლი 28. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ**

განსახორციელებელი ღონისძიებები

1. ამ კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელ ცალკეულ ღონისძიებებში გაგრძელდეს და, აუცილებლობის შემთხვევაში, შემოღებულ იქნეს ღონისძიებათა ნაწილის ანაზღაურება მოსახლეობის მიერ თანაგადახდის პრინციპით. თანაგადახდის წესს, ფორმასა და მოცულობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. ამ კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამებისათვის – „სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა“, „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა“, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა და კონტროლი“, „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი“, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“, „შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა“ – გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა დაფინანსების, თანადაფინანსების, ანგარიშსწორების წესებსა და ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. „საპენსიო უზრუნველყოფის“ ფარგლებში გაიცეს სახელმწიფო პენსია და სახელმწიფო კომპენსაცია.

4. ასაკით პენსიონერისათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა განისაზღვროს:

ა) 2015 წლის 1 სექტემბრამდე – 150 ლარით;

ბ) 2015 წლის 1 სექტემბრიდან – 160 ლარით.

5. „სოციალური დახმარებების“ ფარგლებში:

ა) დაფინანსდეს „სოციალურ პაკეტში“ შემავალი ფულადი გასაცემელი/გასაცემლები;

ბ) გაიცეს საყოფაცხოვრებო სუბსიდია „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების შესაბამისად;

გ) გაგრძელდეს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით გათვალისწინებული საარსებო შემწეობისა და რეინტეგრაციის შემწეობის ანაზღაურების გაცემა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით;

დ) გაგრძელდეს დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების გაცემა: ერთ დევნილზე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა განისაზღვროს 45 ლარით;

ე) გაგრძელდეს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებების გაცემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით;

ვ) დაფინანსდეს დახმარება შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის, რომლის დანიშვნისა და გაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;

ზ) დაფინანსდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ღონისძიება;

თ) დაფინანსდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა ღონისძიებები.

6. უფლება მიეცეს საქართველოს მთავრობას, განსაზღვროს 2014 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ის სახელმწიფო პროგრამები/მათი ღონისძიებები/მოცულობები, რომელთა განხორციელებაც უწყვეტად გაგრძელდება 2015 წლის 1 იანვრიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2015 წლის

სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე და ამ პროგრამებით გათვალისწინებული მიმწოდებლების გამოვლენამდე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ან ვაუჩერის პირობების გათვალისწინებით.

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და მათი კომპონენტების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე გაგრძელდეს 2014 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ის ღონისძიებები, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, და ხელშეკრულებები გაფორმდეს იმავე მიმწოდებლებთან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ იქნა განსაზღვრული; ამასთანავე, აღნიშნულის შესახებ ეცნობოთ საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 2014 წელს შესრულებული სამუშაოები დაფინანსდეს ამ კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან.

9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 2014 წელს გაცემული ვაუჩერები (შესაბამისი ვაუჩერის პირობების გათვალისწინებით) და „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის“ კომპონენტის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ვერ დაფინანსდა 2014 წელს, დაფინანსდეს ამ კანონით შესაბამისი პროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

10. ამ კანონით დამტკიცებული პროგრამული კოდის „35 03 02 02 – იმუნიზაცია“ ფარგლებში ვაქცინებისა და შპრიცების შესყიდვა განხორციელდეს გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, გამარტივებული შესყიდვით, ხოლო იმ ვაქცინებისა და შპრიცების შესყიდვა, რომელთა შესყიდვაც ვერ ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

11. ამ კანონით დამტკიცებული პროგრამული კოდის „35 03 02 07 – ტუბერკულოზის მართვა“ ფარგლებში ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის ღონისძიებებისათვის და პროგრამული კოდის „35 03 02 08 – აივ ინფექცია/შიდსი“ ფარგლებში საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერის, აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესების/მკურნალობის და მოვლის ღონისძიებებისათვის ფარმაცევტული და სხვა სამედიცინო პროდუქციის შესყიდვა განხორციელდეს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ განსაზღვრული გაერთიანებული საერთაშორისო შესყიდვის აგენტების საშუალებით, მათ შორის, ზემოაღნიშნული ღონისძიებებისათვის აივ ინფექციის/შიდსის და ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შეძენა ამ კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, ხოლო იმ ფარმაცევტული და სხვა სამედიცინო პროდუქციის შესყიდვა, რომელთა შესყიდვაც ვერ ხორციელდება აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ განსაზღვრული გაერთიანებული საერთაშორისო შესყიდვის აგენტების საშუალებით, – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

12. ქალაქ თბილისში სასწრაფო დახმარების ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები დაფინანსდეს ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 29. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება**

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯაღმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროღო) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის (აბონენტებისათვის) ბუნებრივი აირის მოხმარებაზე 2014 წლის 1 დეკემბრიდან 2015 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2015 წლის 15 ოქტომბრიდან 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში განისაზღვროს შეღავათი თითოეულ აბონენტზე თვეში 700 მ$^3$-ის (მაისსა და ოქტომბერში – 350 მ$^3$-ის) ოდენობით. ამასთანავე, აბონენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული პერიოდების შესაბამის საანგარიშო თვეში გამოუყენებელი შეღავათით ისარგებლონ მომდევნო თვეში, კერძოდ, 2014 წლის 1 დეკემბრიდან გამოუყენებელი შეღავათი გამოყენებულ იქნეს 2015 წლის 15 მაისის ჩათვლით პერიოდში, ხოლო რიცხული შეღავათი გაუქმდეს 2015 წლის 16 მაისს, 2015 წლის 15 ოქტომბრიდან გამოუყენებელი შეღავათი გამოყენებულ იქნეს 2016 წლის 15 მაისის ჩათვლით პერიოდში, ხოლო რიცხული შეღავათი გაუქმდეს 2016 წლის 16 მაისს.

2. ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანია ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შეღავათებით მოსარგებლე აბონენტების სააღრიცხვო ბარათებზე ყოველი თვის დასაწყისში ასახოს შეღავათის შესაბამისი ლიმიტი და შესაბამის საანგარიშო პერიოდში გამოუყენებელი შეღავათი.

3. გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი და მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი ანგარიშების მიხედვით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ აანაზღაუროს 2014 წლის 1 დეკემბრიდან 2015 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2015 წლის 15 ოქტომბრიდან 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯაღმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროღო) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის (აბონენტების) მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ლიმიტის და შესაბამის საანგარიშო პერიოდში გამოუყენებელი შეღავათის ფარგლებში ფაქტობრივად მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება.

**მუხლი 30. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

2015 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ადმინისტრაციისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებებიდან თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე გასცეს ერთჯერადი დახმარებები.

**მუხლი 31. სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები**

1. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ და თვითმმართველმა ერთეულებმა ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად 2015 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინონ ასიგნებები სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის გადასაცემად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა არ უნდა იყოს 2014 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურების ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ და თვითმმართველმა ერთეულებმა სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გადაურიცხონ ეტაპობრივად, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

**მუხლი 32. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

უფლება მიეცეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, პროგრამის

„ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში 2014 წელს შესრულებული სამუშაოების დაფინანსება განახორციელოს ამ კანონით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან.

**მუხლი 33. ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის დაფინანსება**

1. საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის დამოუკიდებელ მხარჯავ დაწესებულებად ჩამოყალიბების შემთხვევაში მისი დაფინანსება ამ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე განხორციელდეს ამავე კანონით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

2. საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს ამ კანონით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია სამინისტროს ბიუჯეტის პროგრამულ კოდებს შორის ასიგნებების გადანაწილებაზე არ გავრცელდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა; ამასთანავე, უფლება მიეცეს სამინისტროს, განახორციელოს ბიუჯეტით გათვალისწინებული საშტატო რიცხოვნობის სამინისტროს ბიუჯეტის პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილება.

## თავი IX

## დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 34. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს 2013 წლის 11 დეკემბრის კანონი „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.12.2013, სარეგისტრაციო კოდი: 190020010.05.001.017238).

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

12 დეკემბერი 2014 წ.

N2934-Iს